შაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 19 № 197
წელიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 19 № 197
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელები ქ. დენინს კვლავ ზარბაზნებს უშენენ.

მდ. ენის სანაპიროზე გერმანელები ფრანგების ძლიერ იერიშებს იგერიებენ.

შამპინიონის წინააღმდეგ ამერიკელები იერიშებს განაგრძობენ.

სომხეთის მთავრობამ ადერბეიჯანის მთავრობას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ბაქოში მომხდარ ამბების გამო.

ბაქოდან იტყობინებიან, რომ კრასნოვოდსკში დაუხვრეტიათ ბაქოელ ბოლშევიკების ხელმძღვანელნი შაუმიანი, ჯაფარიძე და სხვები.

სამხატვრო სტუდია
„ლადია არგონავტოვ"
გოლოვინის პროსპექტი 10. სეზონი 1918—19 წ.
ახალი პროგრამმა მე-11 ციკლის.
1. „გაშიში" დრამ. ეტიუდი ერთ მოქ. (პირველათ თბილისში).
2. „ძველი ვალსი"—შეას. ლათ. ასკოლდოვი.
3. „ჟიპსი" მუს. სენსანსის შეასრ. პ. მ. ლასკარი.
4. სცენა ოპერიდან „ფანდზორ. კუმუშკი" შეასრ. ა. ა. ბალაბანი და ა. აფანასიევი.
5. „ექვი" მუს. ელონიკის, შეასრ. ნ. ვ. გაიკოვიჩი დ ლ. ი. ასკოლდოვი.
6. „რომანები" პ. ა. პროზოროვსკისა, შეასრ. ა. ა. ბალაბანი.
7. პატე ჟურნალი „ლადია არგონავტოვ"-ის მეორე სერია—შეასრ. ნ. ნ. ელენინი.
ორკესტრს ხელმძღვანელობს თ. ს. კაცი, მონაწილეობენ ბ. გესსი და ბენდიცკი.
კასა გაღებულია 7 საათიდან გათავებამდის.
სტუდიასთან არის რესტორანი და ამერიკანული ბარი.
შესავალი ბილეთის ფასი მაგიდაზე ადგილის დაჭ. 14 მ. (3—1)

სახელმწიფო თეატრი
საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია ან. ლ. ლევიცკის
შაბათს, ღვინობისთვის 19-ს, დაიდგმის
ქ ი დ ო ვ კ ა
ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ჰაელევი.
მონაწილეობას იღებენ: შამბერხ, ზელინსკისა, კანშინი, მოლბანოვი, საბინინი, დემიანენკო და ეზროვი.
დირიჟორი სამოსუდი. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კვირას, 20 ოქტომბერს დილას „ფაუსტი" საღამოთი "რიგოლეტტო" 21—„აიდა". (1—1)

კლუბი „უნიონი"
(პასკევიჩის ქუჩა № 11).
კლუბში არის რესტორანი, სადაც მუდამ დღე, ხუთშაბათს 17 ოქტომბრიდან საღამოს 5—7 საათამდე
FIVE O'CLOCK
(3—2) ტრიო ბ-ნ სტუპელის ხელმძღვანელობით. 1820

5.000,000 მან.
ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ
პირველი მოგება 100,000 მანეთია
ბილეთები იყიდება ყველგან, საცა კი გამოცხადებულია. (10—4)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ალ. ასათიანის ნაწერი
მიწის საკითხი საქართველოში
წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში.
(10—3)

ახლად მოწყობილი სტამბა
ხელოვნება
(ველიამინოვის ქუჩა № 20)
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

კაფე „ერთობა"
კაფე „ერთობა", კაფე „ერთობა",
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯან-საღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.
ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში" შვიდ მანეთს მისცემთ,
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას" მუდამ პატივს სცემთ.
ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას"
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
ადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ.
კაფე „ერთობის" სადილს მიასწრებთ. 25—9

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
ახალი დასი
ქ-ნნი: აბაშიძე ე, ამირეჯიბი ც., ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., გამრეკელი ნ., გურგენიძე ვ., ერისთავი ე., მჭედლიშვილი ნ., ქიქოძე ა., ლოლობერიძე თ., ჩიკვინიძე ლ., ციმაკურიძე ე., წერეთელი ნ. და ჯავახიშვილი.
ბ-ნნი: ალსაბაძე ტ., არადელ-იმხნელი გ., ალექსიშვილი ა., არაბიძე ვ., გელოვანი მ., ზარდალიშვილი ი., კარტოზია ა., კობახიძე ვ., კორიშელი პ., ლორთქიფანიძე მ., მჟავიად., ფანიაშვილი ლ., ცინაძე ნ., ცხაკაია პ., წერეთელი ი., ჭიაურელი მ., ხერხეულიძე მ., ჯიქია ვ.—სუფლიორი გ. გურული.
რეჟისორები: ბერიშვილი შ., ფალავა ა., შათირიშვილი კ.
მთავარი რეჟისორი და დასის გამგე: გ. ჯაბადარი.
სეზონი გაიხსნება ნოემბრის პირველ რიცხვში, თბილისის არტისტულ საზოგადოების თეატრში. რეპერტუარის პირველი ნაწილი: „სარწმუნოება"—მუსიკალური დრამა 5 მ. ბრიოსი, მუსიკა სენ-სანსისა; „ვითა ფოთლები"—4 მ. ჯაკოსისა; „ბურუსი"—3 მოქ. ჰანტურიშვილისა; „ავგაროზი"—პიესა ზღაპარი 4 მოქ. შ. შარაშიძისა; „მარიამ მაგდალინელი"—პაულ ჰაისისა; „ლალატი"—5 მ. ა. სუმბათაშვილისა. სეზონი გაიხსნება პიესით—„სარწმუნოება".
(3—1032—3

ხელის მომწერთა საყურადღებოდ.
„საქართველოს" კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ საჩქაროდ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.
5—5

ნაფიცი ვექილი
დ. გ. კვირკელია
გადმოვიდა თფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—4

იყიდება ხელ მისაწვდენ ფასებში. ღვინით სავაჭრო დაწესებულება.
ღვინით და თავის საჭირო ავეჯეულით, რომელშიაც უკვე სწარმოებს მშვენიერი ვაჭრობ. პირობების გაგება შეიძლება მიხაილოვის ქუჩა № 98. სასტუმრო „ოლიმპის" კანტორაში 8—6 საათ.

საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობიდან.

საქართველოს პარლამენტის ხუთშაბათის საგანგებო სხდომაზე ჩვენი მთავრობის მიერ გერმანიაში გაგზავნილ ოფიციალურ დელეგაციის წევრმა ნ. ნიკოლაძემ წარადგინა მოხსენება იმ ეკონომიურ ხელშეკრულებებზე, რომელიც ხსენებულმა დელეგაციამ დასდო გერმანიის მთავრობასთან ერთის მხრივ და გერმანიის ბანკების კონსორციუმთან მეორის მხრივ. მოხსენება პარლამენტმა მოისმინა დახურულ სხდომაზე, ამიტომ მისი დეტალური განხილვა და კრიტიკა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია და ჩვენ დავკმაყოფილდებით საკითხის ზოგადი აღნიშვნით.

ერთი გარემოება იპყრობს თავიდანვე ყურადღებას ამ პროცესში: ახლად აღდგენილმა და მხოლოდ ფორმაციის ხანაში მყოფ სახელმწიფომ—საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ—განსაკუთრებულის სიადვილით და სარგებლობით შესძლო მოეხდინა ისეთი რთული, ძნელი და პასუხსაგები აქტი, როგორიც არის შეღავათიანი საფინანსო-ეკონომიური ხელშეკრულების დადება პირველხარისხოვანსა და უძლიერეს იმპერიასთან. ეს იმისი მაჩვენებელია პირველ ყოვლისა, რომ გერმანიაში დაჯერებული არიან ჩვენი სუვერენობისა და სახელმწიფოებრივობის სიმტკიცეში და შეურყევლობაში, დარწმუნებულნი არიან, მაშასადამე, გერმანიის მმართეელ და საფინანსო-საბანკო წრეებში იმაშიაც, რომ ქართველ ხალხს ძალუძს გადალახოს უდიდესი დაბრკოლებანი, მრავალ მხრივ რომ ელობება მის აღმშენებლობით მუშაობას და მყუდრო ნავთსაყუდრამდე მიიყვანოს უძველეს ივერიის აღდგენილი სახელმწიფოებრივობა.

პირუთვნელობა გვავალებს ხაზგასმით აღვნიშნოთ ჩვენი რესპუბლიკის რწმუნებულთა ნაყოფიერი მოღვაწეობა მათთვის უცნობ დიპლომატიურ სფეროში, რაიც უმეტესად გამოიხატება იმაში, რომ შედარებით მოკლე დროის განმავლობაში მათ მოახერხეს გაჭირვებაში მყოფ სახელმწიფოსათვის უცილობელ სახეირო პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობების შექმნა. დაუცხრომელი და გულწრფელი პატრიოტული მუშაობა უნდა ეწარმოებინათ ჩვენს დელეგატებს, რომ საჩქაროდ ნიადაგი განემზადებინათ გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარებისათვის დი ამავე დროს ეზრუნათ შეერთებულ იმპერიის მთელი საზოგადოებრივი აზრის ჩვენდა სასარგებლოდ მოქცევისათვის. ამ ორივე მიზანს დელეგაციამ სავსებით მიაღწია და მით წარუშლელად ჰყო თვისი ლვაწლი ერისა და რესპუბლიკის წინაშე.

ჩვენ თავიდანვე დაიმედებულნი ვიყავით დელეგაციის ნაყოფიერ მოქმედებაში იმ ფარგლებში, რომელიც მას მიკუთვნილი ჰქონდა საქართველოს მთავრობისაგან. ნ. ნიკოლაძის მონაწილეობა ოფიციალურ მოლაპარაკებაში გარანტიას გვაძლევდა, რომ მისთვის ჩაბარებული ეკონომიური მისსია საქართველოსათვის საკეთილოდ დამთავრდებოდა, რაშიაც პარლამენტი და მთავრობა დარწმუნდა 17 ოქტომბერის სხდომაზე, რომელზედაც მცხოვანმა მოღვაწემ ჩვეულებრივის სიდარბაისლით და შთაგონებით გაახსენა ერის მესვეურთ ბერლინში შესრულებული დიდი სახელმწიფოებრივი საქმე.

რუსეთისაგან პოლიტიკურად განდგომა, რასაკვირველია, კიდევ არ არის იმისი მომასწავებელი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილად ჩაითვალოს. ჩამოშორების აქტი არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი სახელმწიფოებრივად მოწყობის შესაძლებლობისა. მძლავრად გამოთქმულ პოლიტიკურ ნების-ყოფას თან უნდა დაერთვას ასეთივე მძლავრი და მწყობრი ეკონომიური დარაზმვა ეროვნული ძალებისა, რომ გამოინახოს საშუალება დეკლარატიულ თავისუფლებისა და სუვერენობის ცხოვრებაში განსახორციელებლად.

ქართველი ხალხი პოლიტიკურად იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიური მხარე საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებისა წესიერ კალაპოტში ჩადგა და თავიდან დროზე ავიცდინეთ ის კათასტროფა, რასაც დღევანდელი პოლიტიკური კურსი უეჭველად გვიმზადებს. ქართველობის უდიდესი ნაწილი დღეს პარაზიტად, მჭამელად გადაქცეულა და აჩქარებულად ამუშავებულ საექსპედიციო დაზგისაკენ აქვს მიპყრობილი ხელი. რუსეთიდან დარჩენილი, თუ ახლად გამოცემული საკრედიტო ნიშნები უაზრო ფლანგვასა და ჯამაგირების მიცემაში იწურება, ხოლო საწარმოვო ძალთა აღორძინებაზე, სახელმწიფოს ეკონომიურად და ფინანსიურად გამოლონიერებაზე არავინ ჰფიქრობს. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ჟამად თითქმის არაფერი იქმნება რეალურად: პური, მარილი, ნავთი, საპონი, ძაფი, სამანუფაქტურო მასალა—ყველა ამას ჩვენი სახელმწიფო იძენს უცხოთაგან და სამაგიეროდ მისაცემს—კი თითქმის არაფერს ამზადებს. ასეთი მდგომარეობის გაგრძობა მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლებათ იმათ, ვისაც შეძლებაცა და საშუალებაც მოეპოვება ჩვენს ქვეყანაშივე შექმნას ხალხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი ეკონომიური ღირებულებანი, მაგრამ მიუხედავათ ამისა სრულიად შეუფერებლად და უნაყოფოდ ჰლევენ სახელმწიფოს ენერგიას.

თუ გერმანიის უდიდეს ბანკების თავდებობით გამოცემული ჩვენი ფული იძველებურად ქარს გავატანეთ, ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ საოცნებო საგნად გარდაგვექცევა. ქართული სახელმწიფო საკრედიტო ნიშნები, გარდა იმისა, რომ დაზოგვითა და, თუ გნებავთ, სიძუნწით უნდა იხარჯებოდეს, მისი მოხმარებაც უნდა მომგები იყოს თავიდანვე: ამ ფულით სახელმწიფო ვალდებულია მოაწყოს ქარხნები და ფაბრიკები, გამოასწოროს უკიდურესობამდე დაქვეითებული და დავაგლახებული სატრანსპორტო საშუალებანი და საზოგადო ყველა ის, რაც ეკონომიურად ასწევს მონობისაგან თავდახწეულ რესპუბლიკას.

საქართველოს დელეგაციამ მოიხადა თვისი ვალი სახელმწიფოსა და ერის წინაშე. მისი ხუთი თვის დაუღალავმა მოქმედებამ საფუძველი მოუმაგრა ჩვენს რესპუბლიკას და თანაგრძნობა უთავაზა იმ სახელმწიფოისა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველს დღებში ჩვენი ერი იხსნა ფიზიკურ განადგურებისაგან და ახლა-კი აშკვიდრებს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობას.

სიტყვა ეკუთვნის ქართველ ხალხს: საღი სახელმწიფოებრივი შორს-მჭვრეტელობით და უტიპიური გატაცებისაგან დროზე განდგომით მან უნდა განათლებული კაცობრიობის წინაშე დაამტკიცოს, რომ ერთნაირად ღირსია სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და, მაშასადამე, საერთაშორისო ყურადღებისა.

რ. ინგილო.

კანონპროექტი

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ქსელების გავრცელების შესახებ.

1) დაარსებულ იქნას საქართველოს ყოველ სოფლის საზოგადოებაში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის განყოფილება.

2) დაევალოს სოფლის საზოგადოებებს უსასყიდლოთ დაამზადონ ადგილობრივად საჭირო ბოძები და ბიჯგები ალაგზე მიტანით და ორმოების გათხრით; აგრეთვე უსასყიდლოთ მისცეს ფოსტა-ტელეგრაფის საჭიროებისათვის ოთხ თვალიანი სახლი გათბობა-განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით; ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობათ და ავეჯეულების შესაძენათ ერთდროულად გადაიხადოს 2,500 მ. ხოლო ტელეფონით სარგებლობისათვის 500 მ. ყოველ წლიურად.

3) დაევალოს სასოფლო მილიციას ფოსტის გადატან-გადმოტანა.

4) გადადებულ იქნას სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ამ საქმის მოსაწყობად სამი წლის ვადით 1,786,240 მან.

5) ამ კრედიტის საზღვრებში მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება შეიძინოს შესაფერი მასალა 936,240 მ. ღირებული ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საწყობიდან თანახმად წარმოდგენილ ნუსხისა.

6) გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 150.000 მან. ამ კანონით ახლად დაარსებულ საფოსტო განყოფილებათა შტატების შესანახად 1918 წლის დამლევამდე.

ქრონიკა

◆ **სტუდენტების გაფიცვა.** გაიფიცნენ ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის მე-2 და მე-3 კურსის სტუდენტები, რომელნიც მოითხოვდნენ რომ გამოცდების მინიმუმის ჩაბარება იანვრამდის გადადებას.

◆ **საექიმო ფაკულტეტის ქართველ სტუდენტთა კრება.** 19 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, წყნეთის ქუჩა, დანიშნულია საექიმო ფაკულტეტის ყველა იმ ქართველ სტუდენტთა კრება, რომლებიც სწავლობენ ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტებში და აგრეთვე უნივერსიტეტის გარეშე დარჩენილთათვისაც. განსახილველია ფრიად საგულისხმო საკითხები და განსაკუთრებით კი „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტის მეორე კურსის გახსნის შესახებ.

◆ **განათლების მინისტრმა** განკარგულება გასცა, რომ სულ მოკლე ხანში ყველა საშუალო სასწავლებლებმა წარმოადგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა განათლებისა არიან მასწავლებლები და რა საგანს ასწავლიან და აგრეთვე რამდენი მოწაფეა თითო კლასში.

◆ **კერძო გიმნაზიელების მოწაფეებს** უფლება მიეცათ უეგზამენოდ გადავიდნენ სახაზინო გიმნაზიების სათანადო კლასებში.

◆ **გენ. მაყაშვილი დაინიშნა** ახალციხეში და ახალქალაქში მომქმედ რეგულიარულ ჯარის და სახალხო გვარდიის რაზმების უფროსად გენერალ გუბერნატორის უფლებებით.

◆ **მზადება მომავალი საქალაქო არჩევნებისთვის.** ქალაქის გამგეობამ დაავალა გამგეობის მდივანს ვას. ხახანაშვილს დაამზადოს მოხსენება ხმოსნების ახალ არჩევნების შესახებ. როგორც ვიცით ხმოსანთა ახალი არჩევნები უნდა მოხდეს იანვარში.

◆ **სპირტეულობის გაყიდვა კერძო სავაჭროებში.** ქალაქის თვითმართველობამ ნება დართო საგასტრონომიო მაღაზიებში სპირტიანი სასმელები 10 პროცენტით ძვირად გაყიდონ.

◆ **ზუგდიდის ხიდი.** ამ ჟამად ასრულებენ ხიდის აშენებას ზუგდიდსა და ახალსენაკს შუა. ხსენებულ ხიდის აშენება ფრიად გაადვილებს აფხაზეთთან მიმოსვლას და ურთიერთობას.

◆ ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობის წესდება უკვე დამტკიცებულია. უკანასკნელ კრებაზე აირჩიეს გამგეობაში შემდეგი პირნი: ინჟენერი ვ. კაკაბაძე, ინჟ. გ. გეგეჭკორი, ტეხნიკოსი გ. ბერიძე, ინჟ. კ. ბუდაკოვი, ტეხ.-მექ. ტ. სპრიქველი, გზათა ტეხნიკ. ბ. მიქელაძე და ინჟ. ვ. ივანიცკი, კანდიდატებად: ინჟ. გ. კოჩინევი, ინჟ. ვ. კანდელაკი და ინჟ. ს. ფიცხალაური. ამხანაგობა, რომელიც მოთავსებულია ვერის დაღმართზე № 12 ანანოვის სახლში, უკვე შეუდგა მუშაობას.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკურ-სანიტარული განყოფილება ამთვის რიცხვებში პროფესორ შიროკოგოროვის ხელმძღვანელობით ხსნის სახელმწიფო სამსახურში მყოფ ექიმთათვის განმეორებითი კურსებს სანიტარულ ექიმების კადრის მოსამზადებლად.

◆ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოხელების კავშირთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროთ სთვლის, რომ საბჭოს სხდომას, რომელიც მოხდება ქართულ კლუბის შენობაში კვირას, ამთვის 20-ს, დილის 11 საათზე უსათუოდ დაესწრნენ თბილისის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რადგან გასარჩევ-გადასაწყვეტია ისეთი რიგული და ფრიად საჭირბოროტო საკითხები, როგორებიც არიან მაგალითად: კავშირის გაძლიერება-გამტკიცება, კოოპერატივის დაარსება, სურსათის შეძენა და სხვა.

ამისათვის პრეზიდიუმი სთხოვს იმ დაწესებულებათა, რომელთაც უკვე ჰყავთ, წარმომადგენლები დაავალონ უკანასკნელათ უსათუოდ დაესწრნენ აღნიშნულ სხდომას და რომელთაც არა ჰყავთ, ამოირჩიონ ასეთნი ამავე სხდომაზე დასასწრებლად.

პარტიული ცხოვრება

დღეს 19 ოქტომბერს საღამოს სრულ 7 საათზე დანიშნულია თბილისის კომიტეტის სხდომა საორგანიზაციო საკითხების განსახილველად. წევრებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

შაუმიანის და ჯაფარიძის დახვრეტა

ბაქოდან იტყობინებიან, რომ ბაქოს აღების დრო- შაუმიანი, ჯაფარიძე და სხვები გემზე იმყოფებოდნენ დატუსაღებულნი. მათ დიდი ქრთამი მისცეს გემის პატრონს და სთხოვეს, რომ ისინი პირდაპირ ასტრახანში წაეყვანათ. გემი ჯერ ასტრახანისკენ მიდიოდა, მაგრამ შემდეგ კრასნოვოდსკისკენ გაუხვია. კრასნოვოდსკში ყველანი დაუპატიმრებიათ, გაუთხრევინებიათ მათთვის სამარეები, დაუხვრეტნიათ და იქვე ჩაუფლავთ.

სომხეთის ცხოვრება

— **სომხეთის მთავრობის პროტესტი.** სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობასთან ჯამალიანმა ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს გადასცა სომხეთის მთავრობის პროტესტი ბაქოს აღების დროს ადერბეიჯანის ჯარის მოქმედების გამო. პროტესტი სხვათა შორის შეიცავს მოთხოვნილებას დამნაშავეთა დასჯას.

— **სომხური დრამის სეზონი.** ორშაბათიდან, ღვინობისთვის 21-დან არტისტიულ საზოგადოების თეატრში, გაიხსნება სომხურ სეზონი. სეზონს ხსნის მსახიობთა ამხანაგობა. წარმოდგენები გაიმართება კვირაში 2 ჯერ ორშაბათობით და ხუთშაფათობით დასში სხვათა შორის შედიან: ბ-ბნნი მაისურიანი, ჯასმე და გულაზიანი, ბ-ნნი ალიხანიანი, ავეტიანი. მირზოიანი და ამ დღეებში მოელიან აშელიანს.

— **სომხების მე 10 წარმომადგენლად.** საქართველოს პარლამენტში აირჩიეს პრამაის ერზინკიანი (სოც.-დემ.)

— **ფულის გაღება ბაქოში დაზარალებულ სომხებთათვის.** საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 100.000 მანეთი გადასდო ბაქოს აღების დროს დაჭრილ-დასახიჩრებულ და დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ.

— ამავე მიზნით სომეხთა საქველმოქმედო საზთგადოებამ გადასდო 25.000 მან., ამასთანავე ერთად საზოგადოებამ დაადგინა პროტესტი გამოაცხადეს მაჰმადიანთა მხეცურ მოქმედების წინაალმდეგ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

გერმანიის პრესა. 16 ოქტ. დაინიშნა რეიხსტაგის და სახალხო პროგრესიულ პარტიის წევრი, ნაფიცი ვექილი ჰაუხმანი უპორთფელო სტატს-სეკრეტრათ. ს.-დ. მწერალი დავიდი— საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტრის თანაშემწეთ; რეიხსტაგის წევრი ცენტრის თანამგრძნობი მუშათა წარმომადგენელი გიესბერგი—შრომის უწყების სტატს-სეკრეტარის თანაშემწეთ. რეიხსტაგის წევრი ს.-დ. მუშათა წარმომადგენელი შმიდტი — საინტენდანტოს სტატს-სეკრეტარის თანაშემწეთ და ს.-დ. პარტიის წევრი დ-რი მიულერი სასურსათო უწყების სტატს-სეკრეტარის თანაშემწეთ.

„ტაგებლატი“ განიხილავს ვილსონის ნოტას და ამბობს, რომ ბისმარკი ჯერ კიდევ 1870 წ. საფრანგეთის დამარცხების დროს განიხილავდა საკითხს... (გამოტოვებულია) დაცლის შესახებ.

გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს გერმანიის კონსტიტუციის ცვლილების მნიშვნელობას ამერიკის ნოტის შემდეგ. ირკვევა, რომ გერმანიაში ამ ბოლო დღეებში მრავალი რამ შეიცვალა. „გუშინ კავშირთა საბჭომ მიიღო კონსტიტუციის ცვლილება, რომლის თანახმათ იმპერატორს ერთმევა ომისა და ზავის საკითხში გადამწყვეტი უფლება ხალხის წარმომადგენლობის დამოუკიდებლათ. ეს ის რეფორმაა, რომელსაც გერმანიაში დიდი ხანია თხოულობდენ სწორეთ ისე, როგორც პარლამენტარულ წყობილების შემოღებას. ვილსონი მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ სახელმწიფო გადატრიალება მოვახდინოთ. ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ: „ჩვენ ეს უკვე მოვახდინეთ თვით გამორკვევის უფლებათა მიხედვით, რომელიც ჩვენ ისევე გვეკუთვნის, როგორც აღმოსავლეთის ნაციებს. ხოლო მას რაც გვაკლია მალე შევასრულებთ. მაგრამ იმ დროს როცა ჩვენ გავნთავისუფლდით შინაურ მონობიდან რასაკვირველია არა გვსურს მონობის უღელი გარეშემ დაგვადვას. ვილსონის სიტყვების შემდეგ ზავი გვიანდება. ნოტის ხასიათი უარესია, ვიდრე ის მოთხოვნილებანი, რომელიც იქა სწერია. ვილსონი მოციქულია ხალთა შერიგებისა და გაბედნიერების, მაგრამ მის ნოტას ძალადობის ხასიათი აქვს. ვილსონი ამბობს, რომ მას სურს დაუფარავი ლაპარაკი რომ ყოველთვის ებრძოდა დიპლომატიის ძველ მეთოდს. მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ მას ამ მეთოდების აღმსრებელათ. ჩვენ ვხედავთ რომ ამ ნოტასთან ერთად იზრდება მისი მოთხოვნილებანიც და ზურგს უკან ხმალ აღმართული გვემუქრება. ახალი გერმანია, რომელსაც სურს საპატიო მორიგება ყველა ერებთან არას დროს არ დაივიწყებს იმას, ვინც დიქტატორის ტონით დაიწყებს მასთან ლაპარაკს.

შვეციის სოც.-დემ. პარტიამ გაუგზავნა გერმანიისას შემდეგი მისალოცი დეპეშა: „გერმანიის დემოკრატიის გამარჯვებას ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე სთვლიდენ ინტერნაციონალის საუკეთესო მებრძოლნი აუცილებელ პირობათ მტკიცე, ხანგრძლივი და საყოველთაო ზავის დასამყარებლათ“. (დასასრული არ არის).

ტრანსპორტის კრიზისმა რომლის დაფარვა საფრანგეთში შეუძლებელი გახდა გამოიწვია შეკითხვა საფრანგეთის ვაჭართა პალატაში საზოგადო სამუშაოთა მინისტრისადმი. მინისტრმა ამ მოვლენის მთავარ მიზეზათ ვაგონებით სიმცირე აღიარა.

ჰავასის სააგენტომ გამოაქვეყნა ნოტა, რომლითაც იუწყება რომ საფრანგეთმა ფინლიანდიასთან დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა.

როტერდამი. 16 ოქტ. პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრით, ზავის დამყარების იმედი ახლა უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე წინათ ვილსონი კისრულობს ისეთ დიდ პასუხისმგებლობას, რომლის მაგვარი ისტორიას ძვირათ თუ დაუკისრებია რომელიმე სახელმწიფო მოღვაწისათვის.

ჟენევა. 16 ოქტ. ამერიკის სენატში სენატორმა უიქსმა შეიტანა წინადადება, რომ ზავის მოახლოების გამო აუცილებლათ საჭიროა შეიქნას განსაკუთრებული საპარლამენტო კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს დემობილიზაციის მოხდენაზე.

გერმანიის პრესა. 15 ოქტ. იმის შიშით, რომ ქ. ვალენსიენსაც მალე დაუშენენ ყუმბარებს და 30,000 მშვიდობიანი მცხოვრების შეჩერება, რომელნიც აღმოსავლეთით გარბიან, შეუძლებელი ხდება, გერმანიის მთავრობამ ხელმეორედ მიმართა შვეიცარიას, რათა მან გააცნოს საფრანგეთის მთავრობას საქმის მდგომარეობა და სთხოვოს ჩრდილოეთ საფრანგეთის მშვიდობიან მცხოვრებთა ინტერესებისათვის ხელი აიღონ დიდი ქალაქების განადგურებაზე და თავისი მოკავშირენიც დაითანხმონ ამაზე. გერმანიის მთავრობა თანახმაა ნება დართოს მცხოვრებთა ნაწილს გადავიდენ ფრონტის ხაზიდან საფრანგეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ფრონტების ერთი-მეორესთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის მთავრობა არ დასთანხმდება გერმანიის წინადადებას, გერმანიის მთავრობა არ იკისრებს იმ უბედურ შემთხვევათა პასუხისმგებლობას, რომელიც თავს დაატყდება აღნიშნულ ქალაქთა მცხოვრებთ „განმანთავისუფლებელთა“ ყუმბარებისაგან.

ვარშავის გაზეთები იუწყებიან, რომ სამეფო საბჭო ცდილობს, რაც შეიძლება მალე აილოს [illegible] ნის მართვა-გამგეობა და ჯარის ორგანიზაცია.

გერმანიის მთავრობა შეუთანხმდა პოლონეთის რეგენტის საბჭოს პოლონეთის ჯარის-კაცთა ფიცის მიღების შესახებ. ახალი ფიცი ასეთია: ვფიცავ ყოვლად შემწე მეუფის წინაშე, რომ სიმართლით ვემსახურო ჩემს ქვეყანას. პოლონეთის სახელმწიფოს, და რეგენტის საბჭოს, როგორც პოლონეთის მომავალ უმაღლეს მთავრობის დროებით წარმომადგენელს; ვიმსახურო ხმელეთზე და ზღვაზე, ვფიცავ დავემორჩილო ოფიცრებს და შევასრულო ბრძანება მათი რათა ვიცოცხლო და მოვკვდე, როგორც გულადი და პოლონეთის საამაყო ჯარის-კაცი“.

ომი

დასავლეთის ფრონტი.

გერმანიის ცნობა.

ბერლინი, 17 ოქტომბერი. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი, ბრძოლის ასპარეზზე ჩვენი ხაზი ტორხუტკოოლსკამ-ინცელმიუნსტერის აღმოსავლეთით გადავიტანეთ. მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ჩვენ მიერ დაცლილ ადგილს და მერე ჩვენს ახალ პოზიციებისაკენ წამოვიდა. მან კოოლსკამპს ორთავე მხრით მოჰქონდა იერიშები დიდი ძალებით. მოწინააღმდეგეს ძლიერი იერიშები მოჰქონდა აგრეთვე ლისის ასპარეზის წინაალმდეგ კორტრიკა და მენემთან. მოწინააღმდეგე ყველგან მოგერიებულია. მოწინააღმდეგე გუშინ კვალდაკვალ მოჰყვა ჩვენს ახალ დაჭერილ პოსიციებს ლილსა და დუეს შუა კაპინგენალენ-ლე-მარე--კარვენ--ვინიეს ხაზით. სელით სექტორთან მოწინააღმდეგე შემოიჭრაი ჩვენ ხაზებში ხოსთან. ველოსიპედების ბატალიონმა მოწინააღმდეგე კონტრიერიშით ისევ უკან განდევნა. ინგლისელები ქ. დენენს ისევ უშენენ მძიმე არტილერიას, რასაც აუარებელი მსხვერპლი მოსდევს ფრანგების მოსახლეთა და ლტოლვილთა მხრით.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი

მდ. ენის ასპარეზზე დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ფრანგების იერიშები არინიის ჩრდილოეთით მოვიგერიეთ. ენსა და კირზე ფრანგების ძლიერი იერიშები გრანდ-პრეს დასავლეთით ჩვენი ხაზების წინ მოვიგერიეთ.

გალვიცის ლაშქარი.

ლირის სამხრეთით ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელების იერიშები, რომელთა უმთავრესი ძალა მომრთული იყო შამპინიონისა და ლანდრის წინაალმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო უფლებრივი მდგომარეობა

მოსაზრებანი **პროფესორ ფონ ლისელტისა.** ბერლინი.

(ტიტე მარგველაშვილის თარგმანი).

მკითხველის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ეს ბროშურა პროფ. ლისელტისა, გამოჩენილ გერმანელ მკვლევარისა, დაწერილია და გამოცემული ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობამდე. ამ ნაწერიდან ცხადია, თუ რამდენი უმუშავნიათ ჩვენს თანამემამულეთ საზღვარ-გარეთ, რომელთა ნაშრომი საფუძვლად უდევს პრ. ლისელტის ნარკვევს. უკანასკნელში ბევრი ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებანია, მით უმეტეს, რომ უცხოელთა ყურადღებით განებივრებული არა ვართ. ბროშურის მიზანია დაარწმუნოს გერმანული საზოგადოება, რომ საქართველოს ყოველის მხრივ უფლება აქვს იყვეს სუვერენული სახელმწიფო. პროფესორის სახელი და ბროშურის შინაარსი საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ეროვნული იდეის პოპულარიზაციისა და პროპაგანდისათვის ევროპაში.

ფრიად ძნელი იყო თარგმნა, განსაკუთრებით სპეციალურ ტერმინებისა, მაგრამ არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენდა სიტყვათა წყობის, წინადადებათა გადმოქართულება.

არსებულ ფაქტების მიხედვით, რომელნიც დასტურდება ყოველდღიურ პრესის საშუალებით გადმოცემულ ამბებიდან და ქართველების მხრივ ჩემდამი მოწვდენილი ცნობებიდან, საქართველოს უცილობელ საერთაშორისო უფლებრივ დებულებათა მიხედვით თვითმყუდი, ყოველის მხრივ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომლის მოთხოვნა, რომ იგი ფორმალურად ცნობილ იქმნას სხვა სახელმწიფოების მიერ ეჭვს გარეშე სამართლიანია საერთაშორისო უფლების ყველა წესების მიხედვით.

I საქართველოს უფლებრივი მდგომარეობა მსოფლიო ომის დაწყებამდე.

შეიძლება ადამიანს უმიზნო შრომის ფლანგვად მოეჩვენოს, რომ დღეს შევჩერდეთ საქართველოს ძველი ისტორიასა და მის დამოკიდებულებაზე რუსეთთან, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ომმა, როგორც სჩანს, ყოველგვარი ძაფები დასწყვიტა წარსულთან და სრულიად ახალი მდგომარეობანი შეიქმნა. მაგრამ მოკლე მიმოხილვა გვამცნობს, რომ ეხლა ბრძოლით მოპოვებული დამოუკიდებლობა მხოლოდ ლა ხელახლავ დამყარებაა და სხვა არაფერი იმ უფლებრივ მდგომარეობისა, რომელიც დარღვეულ იქმნა რუსების მხრივ ძალადობითა და ხელშეკრულობათა დარღვევით. მე ვხელმძღვანელობ ჩემს შრომაში უსახელოდ გამოსულ ნაწერით „საქართველო და მსოფლიო ომი“ და შემდეგი ვრცელი ნაშრომით მ. წერეთლისა „საქართველოს უფლებანი“ 1917 წ. (გამოც. Der neul Orient).

მე-18 საუკუნის გასულს საქართველო შესდგებოდა ორ სამეფოსა და რამდენიმე სამთავროებისაგან (აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ქართლი და კახეთი; დასავლეთ საქართველოში სამეფო იმერეთი და სამთავროები სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი). საქართველოს სახელმწიფოები სუსტი და პატარა იყო,—ხშირად და ძლიერ შევიწროებულნი უფრო ძლიერ მეზობელ ხალხთაგან; სპარსელებისა და ოსმალებისაგან, მაგრამ თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ეროვნულ თავისუფლების უზრუნველსაყოფად მათ მიიღეს რუსეთის მფარველობა მე-18 საუკუნის მე-80 წლებში. აღმოსავლეთ საქართველომ ყველას წინ გაუსწრო. საფუძველი იყო ხელშეკრულობა მეფე ირაკლის რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან 24 ივნისს (ძველი სტილით) 1783 წ. ყველაზე უმნიშვნელოესი დასავლეთ საქართველოს ხელშეკრულებიდან იყო იმერეთის მეფე სოლომონ III. ხელმწიფე ალექსანდრე I 1804 წ, ყველა ეს ხელშეკრულებები მფარველობის ხელშეკრულებებია. ისინი აფუძნებენ რუსეთის ბატონობას, რუსეთის სუვერენობას. ისინი ჰქმნიან საქართველოს სახელმწიფოებს რუსეთის ვასსალურ სახელმწიფოებად და ავალებენ რუსეთს იარაღით დახმარებას საქართველოს გარეშე მტერთა წინააღმდეგ, მაგრამ ისინი სტოვებენ ხელშეუხებლად საქართველოს შინაგან დამოუკიდებლობას, როგორც კანონმდებლობისა, ისე საეკლესიო ცხოვრებაში- მაგრამ იმ წამსვე იწყება რუსების ცდა, რომ პროტექტორატი საქართველოზე „გარდაქმნან“ უშვამავლო სახელმწიფოებრივ ბატონობად. ისინი იწყებენ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეშივე აღმოსავლეთ საქართველოიდან. რადგანაც, ხელმწიფე პავლე I მოლაპარაკება ერეკლის შვილთან მეფე გიორგი მე-12 მიზანს ვერ აღწევდა ორივე მანიფესტი პავლე I 18 იანვარს 1801 წ. და ალექსანდრე I იმავე წლის 12 სექტემბერს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებას აცხადებდა. საქართველოს წარმომადგენლების პროტესტები პეტერბურგში დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ასეთივე იყო პროტექტორიატის განვითარების მსვლელობა საქართველოს დანარჩენ სახელმწიფოებშიც. ყველგან გასტეხეს ქართველი ხალხის წინააღმდეგობა, ხელშეკრულობით აღთქმული ავტონომია მოშალეს, შემოიღეს რუსული მართვა გამგეობა ერის ცხოვრების ყველა დარგებში 1814 წელს ყველა კუთხეები საქართველოისა უკვე რუსულ გუბერნიებათ იყო გარდაქმნილი.

ამ საქმის მდგომარეობის უფლებრივ დაფასებაში შეიძლება სხვა და სხვა აზრისა ვიყვეთ. ამ მხრივ ყველაზე შორს მიდიან ქართველი ნაციონალისტები, რომელნიც რუსეთის მიერ დარღვეულ ხელშეკრულებით 1783 წ., 1804 წ. და სხვ. აღარც საქართველოსთვის სთვლიან სავალდებულოთ. ეყრდნობიან 1783 წ. წინათ არსებულ უფლებრივ მდგომარეობას და აღიარებენ საქართველოს, როგორც სრულიად დამოუკიდებელ და სავსებით სუვერენულ სახელმწიფოს. ისინი ეყრდნობიან ორ ფაქტს, რომელნიც მიმდინარე საუკუნის პირველ წლებს ეკუთვნიან: ერთი ნის'ის შეხედულება, 1906 წ. ნოემბერში, რომელმაც კანონიერად სცნო შეიარაღებული ამბოხება ქართველებისა რუსეთის წინააღმდეგ და ამ შეხედულებაზე დაფუძნებული განაჩენი შვეიცარიის კავშირის სასამართლოსი, რომელმაც უარი უთხრა რუსეთს ამბოხებაში მონაწილე ქართველების გაცემაზე. შემდეგ კიდევ. მოპყრობა პეტიციისა, რომელიც თაც ქართველმა ხალხმა ჰააგის კონფერენციას მიმართა 1907 წ. როგორც ამას ქართველები ამტკიცებენ, ჰააგის კონფერენციამ მხოლოდ ფორმალური მოსაზრებებით არ განიხილა არსებითად საკითხი. სხვას რომ თავი დავანებოთ, სისუსტე ამ არგუმენტების ცხადია იმ ფაქტიდან, რომ თვით წერეთელი ხაზს უსვამს, რომ ქართველთა მტკიცება მხოლოდ ხმებს ემყარება. შემდეგ ქართველების მხრივ იცავენ იმ დებულებას, რომ 1783 წ. და შემდეგი წლების ხელშეკრულებანი უფლებრივად ძალაში უნდა დარჩეს, რადგან ისინი უფლებრივის გზით არ გაუქმებულან და საქართველო დარჩა როგორც ნახევრად სუვერენული სახელმწიფო რუსეთის მფარველობის ქვეშ (ober herrschaft. როგორც ვხედავთ, ამ მეორე აზრსა და იმ პირველს ქართველი მწერლები ერთსა და იმავე დროს იცავენ, თუმცა პირველი უკანასკნელს ეწინააღმდეგება.

ორივე შეხედულებათა საწინააღმდეგოდ შეიძლება პირდაპირ მივუთითოთ საჯარო უფლების მთელს დარგში მნიშვნელობით აღსავსე „ფაქტის ნორმატიულ ძალაზე“, რომელიც ერთს და იმავე დროს წარმოადგენს როგორც უფლების დამფუძნებელს, ისე ამ უფლების დამრღვეველ ძალას. ფაქტის ძალით საქართველო შეიქმნა რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად ნაცვლად შინაგან საქმეებში დამოუკიდებელ სახელმწიფოისა, მისი წინანდელი სამეფოები და სამთავროები 1814 წ. გარდაიქცნენ რუსეთის უბრალო გუბერნიებად.

საბედნიეროდ საჭირო არაა, ამ საკითხს რომ აქ შევეხოთ. რადგან საქმე ეხება საქართველოს უფლებრივ მდგომარეობას არა 1914 წ. არამედ 1915 წ. ამ რამოდენი წლებში გარემოებანი სრულიად შეიცვალნენ.

II უფლებრივი მდგომარეობა საქართველოსი 1918 წ.

მსოფლიო ომმა მოუტანა ქართველ ხალხს დიდი ხნის ნანატრი განთავისუფლება რუსეთის ბატონობისაგან. დღეს სრულიად გამქრალია რუსეთის სახელმწიფოებრივი ძალა საქართველოს საზღვრებში. რუსეთის ჯარმა უკანასკნელ კაცამდე დასტოვა ეს ქვეყანა და მას გაჰყვა რუსეთის მოხელეობაც. რუსულ მართვა-გამგეობის ნაცვლად ყველგან ქართული მართვა-გამგეობა დამყარდა. 1917 წ. ნოემბერში ქართველებისაგან სომხებისაგან თათრებისაგან და მთიელებისაგან შემდგარი ფედერატიული რესპუბლიკა (ამიერ კავკასიის რესპუბლიკა) მხოლოდ **ავტონომიას** მოითხოვდა რუსეთის მთლიან რესპუბლიკის ფარგლებში და სხვა არაფერს. მაგრამ რუსეთის მეორე რევოლუციისა და განსაკუთრებით ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდგომ იგი ესწრაფოდა რუსეთისაგან სრულიად გამოყოფას. 22 აპრილს 1918 წ. ამიერ-კავკასიამ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და უკვე 27 აპრილს ტელეგრაფის საშუალებით მოვიდა ცნობა რომ ოსმალეთმა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა იცნო. 15 მაისს 1918 წელს ერთის მხრივ ოსმალეთისა და გერმანელ დელეგაციისა და მეორეს მხრივ ქართველებისა, სომხებისა და მუსულმანების წარმომადგენლების შორის გამართულმა მოლაპარაკებამ იმ შეგნებამდის მიიყვანა ქვეყანა, რომ კავკასიის დეპუტატებს არ შეეძლოთ შეთანხმებულად ემოქმედნათ ერთს საერთო, ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს დაარსების საქმეში. ამის შემდგომ ქართველი ერის დელეგაციამ 26 მაისს გამოაცხადა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად. 25—28 მაისს ამ მაგალითს მიჰყვნენ სომხები ერივანში. 1918 წ. 4 ივნისის წინასწარ ხელშეკრულობით ცნობილ იქმნა ამ რესპუბლიკების გარდა კიდევ ადერბეიჯანის რესპუბლიკა (სატახტო ქალ. ბაქოთი) დაწვრილებითი შეთანხმება საზღვრების შესახებ უნდა მომხდარიყო კონსტანტინეპოლში მოწვეულ კონფერენციაზე საბჭოთა მთავრობისადმი გაიგზავნა თხოვნა, რათა მას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. (იხ. du Mitterlungen des Nienve [illegible] schp Conrant 17 ივლისი, 1918 წ.).

ამგვარად საქართველო გახდა დამოუკიდებელი სრულიად სუვერენული სახელმწიფო. ფაქტების ძალამ, რომელსაც ემყარებოდა რუსეთის ბატონობა დაამსხვრია ეს უკანასკნელი. საქართველო დღეს უკვე „თავის თავის უფალი ქვეყნის სხეულია“ (selbstherrliche Gebietskorperschaft) დაყრდნობელი თავის ძალაზე და შენახული თავისივე ძალით. საერთაშორისო უფლების კანონების მიხედვით ახალი სახელმწიფო წარმოშობილად ითვლება თუ კი მას აქვს სამი წინადობლივი თვისება ყოველი სახელმწიფოსი: ერი, მიწა-წყალი და ძალა-უფლება; მაშასადამე თუ დედამიწის ზედაპირის ერთ განსაზღვრულ კუთხეში დასახლებულია ადამიანთა ერთი რომელიმე ჯგუფი და ეს უკანასკნელი ასეთ კავშირის ორგანოებს შექმნის, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული და ემსახურებიან ამ ჯგუფის წევრთა საერთო შინაურ ცხოვრების მოწესრიგებას და მოქმედობენ ერთს მთლიან ნებისყოფით გარეშე ჯგუფებთან დამოკიდებულებაში, თუ კი სახელმწიფოს ძალა წარმოიშვა, რომელსაც ღონე შესწევს ყუდროება და წესრიგი დაიცვას სახელმწიფოს შიგნით და დაიცვას ქვეყანა გარეშე მტრებისაგან, იგი სახელმწიფოდ უნდა იქმნეს ცნობილი (იხ. 35 მუხლი 1895 წ. კონგოს აქტებისა) ეს წინასწარი დებულებანი ასრულებულია საქართველოს რესპუბლიკის მიერ და ამ სახელმწიფოს წარმოშობის კანონიერების საკითხი არ უნდა დაისვას. თუმცა საქართველო არც ამ საკითხის დასმას შეუშინდება, ვინაიდან მის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება იმ ძირითად დებუ

ორთავე ადგილები შევინარჩუნეთ. ლანდრის სამხრეთ აღმოსავლეთის სიმაღლე ცვალებადი ბრძოლების შემდეგ მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა. უშედეგოთ ჩაიარეს მოწინააღმდეგის იერიშებმა მაასის აღმოსავლეთის ნაპირზე. განსაკუთრებით თავი ისახელა ლანდვერის პირველმა დივიზიამ.

წერილი ქუთაისიდან.

იმერეთის დედა ქალაქი ამ ჟამად ბევრგვარ სიმწარეს განიცდის. 4—6 თვის წინად ქუთაისში პარტიულ ბრძოლის ცეცხლი ენთო, 9 წლის ბავშვი მკაცრად და სასტიკად ასამართლებდა მოპირდაპირე მიმართულებას.

ოჯახებში, დაწესებულებებში და ყრილობებზე ყველგან პარტიული კამათი შეჯახება ტრიალებდა.

ახლა როგორც ამბობენ ბაგრატის ქალაქი ისვენებს.

ჯგუფური და პარტიული ცეცხლი ქუთაისში სხვათა შორის იმიტომაც განელდა, რომ ქალაქში შეჩერდა ორი გაზეთის გამოსვლა. მიზეზი ის არის, რომ თითო ასოთამწყობი მუშა 1500 მან. თხოულობს თვეში, რაც ჩვენებურ რედაქციებს ვერ შეუძლია.

ერთი გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ ეკუთვნის ეროვნულ დემოკრატებს, ხოლო მეორე „სოციალდემოკრატი“ ნუშათა პარტიას. უკანასკნელის შეჩერება ყველას აღელვებს, როგორ უღალატა მუშათა ინტერესების დარაჯს პროლეტართა ორგანოს „შეგნებულმა“ მუშებმა.. ან ნუ თუ ისე დალარიბდენ სხვადასხვა შემოსავლიან კომბინაციების მწარმოებელი სოციალისტები, რომ ერთი ორგანო ვერ შეინახეს? თუ მოსწყინდათ ყოველ ცისმარე დღეს ერ. დ-ბის კონტრ-რევოლიუციონერობის ძახილი და მის შემდგომ რაც ფედერალისტებს დაუმობილდენ მასალა შემოელიათ?..

სამაზრო ერობის პირველი ყრილობა მოხდა.

სოციალისტებმა განიძრახეს სოციალისტურ აზრებით ერთმანეთის მოთაფვლა... სიტყვებმა, მჭერ-მეტყველობამ ამ სალამოისა ყველაფერს გადააჭარბა. სოციალისტები ლოცულობდენ სოციალისტური ფრონტი არ დაგვერღვესო.

საერობო მმართველობის ადგილები დაანაწილეს და სარევოლიუციო „შუქურ ვარსკვლავთა“ პარტიას გამგეობაში 1 კაცის ადგილი დაუთმეს, ხოლო სამი თვითონ იკუთვნეს. გაბრაზდნენ ფედერალისტები... როგორ თუ ჩვენ, რომელთაც საკუთარ ფხრებით ვზიდეთ არჩევნები, ერთი ადგილის მეტი არ მოგვცეს და ერ. დ-ბთან გაგვათანასწორესო. უარი სთქვეს!..

ასე უეცრად დაიშალა ის „სალადე“ ბლოკი, რომელიც დიდის ამბით შეადგინეს სოციალისტებმა ერობის არჩევნების წინ და მუდამ ჟამ ერთმანეთის ქებაში იყვნენ.

ირაკლი.

მიწის დეკრეტის შედეგი სოფელში

სოციალისტები დარწმუნებულნი იყვნენ და არიან, ვითომც გლეხებს გაახარებს, აღფრთოვანებაში მოიყვანს მიწის დეკრეტი, მაგრამ ნამდვილად კი ამ დეკრეტმა მიწის მუშა უფრო დაალონა, სასოწარკვეთილებისკენ წაიყვანა.

გაახარა ამ დეკრეტმა მხოლოდ ის თავად-აზნაურობა და გლეხობა, რომელთაც თავისი მიწა-წყალი გაჰყიდეს, დაჰკარგეს, დროს მუდამ ქეიფსა და ცუდაობაში ატარებდენ, დღეს ბოგანოდ დარჩნენ და სოციალისტობენ მხოლოდ მისთვის, რომ დაკარგული მიწა ისევ თავის ხელში ჩაიგდონ. ესენი მიწის მესაკუთრე ნამდვილ მუშებს მოსვენებას არ აძლევენ. მიწის ამ დეკრეტით დალონებულია.—დალონებულია მიტომ, რომ ის ვერ შერიგებია და ვერც შეურიგდება იმ აზრს, რომ მისი ოფლით შეძენილი მიწა სხვამ წაიღოს.—ნორმაზე მეტი მიწა იმ მუშას აქვს, რომელიც ერთ ოჯახში ბევრად არ დაყოფილან, არ დაქსაქსულან და შეერთებული შრომით სხვებზე მეტიც შეუძენიათ. ხვალ რომ ესენი გაიყონ, ნორმაზე დიდად ნაკლები შეხვდება თითო ახალ ოჯახს. დეკრეტი ამას მხედველობაში არ იღებს. აბა, როგორ გაიხაროს ამით მუშამ! არ უხარია არც იმისთანა მუშას, რომელსაც მხოლოდ ოთხი-ხუთი ქცევა მიწა გააჩნია. არ უხარია მისთვის, რომ რაც აქვს, ის კარგად დამუშავებული აქვს. უყვარს და იმედიცა ჰქონდა, კიდევ შეიძენდა და გააფართოვებდა თავის საკუთრებას. არ უხარია კიდევ მიტომ, რომ ის დიდ უსამართლობას ჰხედავს იმაში, რომ ოფლით შეძენილი მიწა ვისმეს ძალით წაერთვას და ჰფიქრობს ხვალ მეც წამართმევენ და ჩემი შვილები მშრალ რიყეზე დარჩებიანო. ასეთია მისი შესისხლხორცებული სულისკვეთება.

გაიგონა ამ წვრილმა მემამულემ— ტყეებს აკავებენ და სახელმწიფოს საკუთრებად რიცხვენო.

პირველად ვერ წარმოედგინა მას, თუ მისი ხელით გაშენებულ ტყეს, რომელიც შვილივით უყვარდა და რომელსაც ის არავითარი სასყიდლისათვის არ შეელეოდა, ვინმე სხვა შეეხებოდა მისდა ნება დაურთველად. თავისათვის შეშას სხვისაგან ყიდულობდა—ჩემ ტყეს არ მოაკლდესო და შვილმა ამით მაინც გამიხსენოს, რომ მე საქმე გავიჭირვე და ტყე უკლებლივ მას დაუტოვეო; მაგრამ შეხედეთ მის განცვიფრებას, როდესაც ესმის— მახლობელ სოფელში დააჯარიმეს, ზოგი კიდევაც დაამწყვდიეს თავის საკუთარ ტყეში ხის მოჭრისათვის. რამოდენჯერმე აიღო მან ცული ხელში— ჩემ გაშენებულ ტყეს მევე მოვსპობო, მაგრამ ვერ გაიმეტა, სხვებს დაეკითხა, სასურველი პასუხი ვერავისაგან ვერ მიიღო. ჰხედავს, რომ მისი მეზობლები თავ-თავის ტყეს დაესიენ, სჭრიან. ახლა კი იმანაც დაავლო ცულს ხელი და თვალ-ცრემლიანმა გაანადგურა თავისი შვილივით საყვარელი ტყე. ყველას ეუბნებოდა, ვისაც შეხვდებოდა—ვინც დამაბეზღებს მთავრობასთან, იმასაც ისე მოვსპობ, როგორც ჩემი ტყე მოვსპეო. აი რა შედეგი მოიტანა ზემო იმერეთში მიწის დეკრეტმა. ერთი არავინ გამოჩნდა, დაარწმუნოს მცხოვრებნი, რომ იმ მიწის მესაკუთრეს მაინც, რომელსაც ზომაზე ნაკლები მიწა აქვს, ტყე არ ჩამოერთმევა. მაგრამ ამაზე განა სცალიათ. ვინც კი მოვა უფლებით აღჭურვილი სოფელში, იმაზე ელაპარაკება, რომ უსათუოდ კენჭი ამ პარტიას უნდა მისცეო.

გული გიკვდება, როდესაც ჰხედავ ამანაირად აოხრებულ ტყეებს.

იმერეთში, ყველას მოეხსენება, მსხვილი მემამულე ორი-სამი თუ მოიძებნება. წვრილ მიწის მესაკუთრეთ ბაღსავით ჰქონდათ გაშენებული პატარ-პატარა ტყე, რომელიც ამშვენებდა მათ მიდამოს, მას გარდა რომ ამ ტყეებს საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა და სარგებლობა მოჰქონდა. დღეს ეს ტყეები აოხრებულია და აოხრებენ კიდეც, რას გვიქადის ეს მოვლენა? გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ იგი სრულ ანარქიისაკენ მიაქანებს ხალხს.

ზემოური.

უცხოეთის ამბები

ფონ-ჰინცეს სიტყვა აღმოსავლეთის მდგომარეობაზე.

გერმანულ გაზეთებში სიტყვა-სიტყვით მოყვანილია გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარის ფონ-ჰინცეს სიტყვა. ავსტრიულ ნოტაზე ბაასის შემდეგ ის შეეხო აღმოსავლეთის მდგომარეობას. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები:

მოხალისეთა ლაშქარი.

სამხრეთ-რუსეთში ვხედავთ სახელმწიფოებრივ ცხოვრების სხვანაირ პროცესებს. კავკასიის ჩრდილოეთით გენ. ალექსეევმა შეადგინა მოხალისეთა ლაშქარი, რომელშიაც 100.000 კაცი ითვლება. ლაშქარი კარგად არის შეიარაღებული, მაგრამ ამუნიციის საქმე კი ხეირიანად ვერა აქვს მოწყობილი. ამის გამო მისი მოქმედებაც განსაზღვრულია. რაც შეეხება გენ. ალექსეევის მოქმედებას რუსეთის პრობლემისათვის, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მას ჰსურს რუსეთის დღევანდელ მთავრობის დამხობა და აღდგენა ძველი რუსეთისა. შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ გენ. ალექსეევი შეთანხმების სახელმწიფოთა მომხრეა. ჩვენს მტრებს სიმპატია აღმოუჩინა და მათით მუშაობს, თუმცა ძნელად თუ მიიღებს ფულს ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან, რადგანაც გზა აქვს გადაჭრილი.

ყუბანი.

რა ხდება ყუბანში, გამოურკვეველია. ყუბანის ცნობები იშვიათად მოგვდის. ჩვენ ვუწყით მხოლოდ, რომ ყუბანის ყაზახებს ჰსურთ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნა. ამისთვის შეუკავშირდნენ დონს და გენ. ალექსეევს.

კასპიის ზღვა.

კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით არის ერთი სახელმწიფო თერგის ყაზახებისა. ვგონებთ, რომ ინგლისელები აძლევენ მათ ფულს და თავის განკარგულებაშიაც ჰყავთ იგინი. ინგლისელები და მათი ფული სპარსეთიდან შემოდიან. ჩრდილოეთ-კავკასიაში ინგლისელები თავისკენ იზიდვენ ჯარის ნაწილებს, მაგრამ გაუჭირდებათ მუშაობა, რადგანაც ბოლოს მომხდარ ამბებით გზა დაეხშოთ. ყუბანის და თერგის ოლქის გარშემო იმყოფებიან ბოლშევიკური ჯარები, რომელნიც ებრძვიან ყველა ამ წვრილმან სახელმწიფოებს. ვიმეორებ, რომ რუსეთის რევოლიუციის ერთი დამახასიათებელი ის არის, რომ რუსეთი იყოფა წვრილ სახელმწიფოებად, რასაც კომუნამდე მიჰყავს.

საქართველო.

რუსეთის სამხრეთით დაარსდა ახალი სახელმწიფო — საქართველო. რუსის მთავრობასთან შეთანხმებით ჩვენ იგი ვაღიარეთ, რაც შეეხება კავკასიის სხვა სახელმწიფოებს, გადავწყვიტეთ, რომ ჩავერიოთ იმდენად რამდენადაც ჩვენი ინტერესები მოითხოვს.

ბაქო.

ბაქო სიცოცხლის ძარღვია არამ თუ რუსეთისათვის არამედ ნახევარ ევროპისათვისაც. სამხრეთ რუსეთის რკინის გზები და ორთქლ-მავლები ბაქოს ანამარაა. ჩვენც დიდათ გვჭირდება ბაქო და ამისთვის ავლაგმავთ მესამე ძალას, რომელიც შეეცდება მის დაპყრობას.

ბოლშევიკები „საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის და ბრესტის ხელშეკრულების“ შესახებ.

„ჩერნომორსკი ვესტნიკი“ იტყობინება, რომ მოსკოვში შესდგა ცენტრალური „სრულიად რუსეთის“ და მოსკოვის მუშათა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების ყრილობა, სადაც წაკითხულ იქმნა ლენინის წერილი, რომელშიდაც იგი ამბობდა, რომ მოახლოვდა „საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის“ დრო. შემდეგ ტროცკიმ წაიკითხა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელშიდაც იგი გინებით ამხელდა ვილსონის და ლლოიდ-ჯორჯის იმპერიალისტურ მიდრეკილებათ.

ყრილობის დასასრულს მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

1) რუსეთის საბჭოთა მთავრობა, წინად გრძნობს რა სოციალისტურ რევოლიუციებს მსოფლიო იმპერიალიზმის ორივე ბანაკში, უცხადებს მთელს ქვეყნიერებას, რომ რევოლიუციონურ მთავრობებს იგი ყველა ქვეყნებში იცნობს.

2) სარევოლიუციო საშუალებათა დასამზადებლათ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს, რომ „სარევოლიუციო სამხედრო საბჭომ“ დაამზადოს პროგრამა წითელი არმიის ორგანიზაციისა, ხოლო სასურსათო საქმის სახალხო კომისარმა განიხილოს გეგმა სხვა ქვეყნების მუშების სასურსათო დახმარებისათვის.

3) რეზოლიუცია ეხება ბრესტის ხელშეკრულებას, და ყრილობა ადგენს, რომ, რომ ის რეზოლიუცია, რომელშიდაც მოთხოვნილი იყო ამ ხელშეკრულების დარღვევა მიღებულ იქმნა უკანონოთ და არ შეეფერება საბჭოთა მთავრობის მომხრეთა უმრავლესობას. ყრილობა ითხოვს, რომ ბრესტის ხელშეკრულება დაცული იქმნას მთელის სისასტიკით; ამ რეზოლიუციას წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ მემარცხენე ეს-ერებმა.

პროლეტარული ოპერა

სახალხო კომისართა საბჭომ მიანდო ალექსანდრე ბლოკს, დემიან ბედნის და სხვათა რომელნიც [illegible] ბათ არიან ცნობილნი, ოქტომბრის რევოლიუციის იუბილეისთვის დასწერონ პროლეტარული ოპერის კოლლექტიური ტექსტი.

სოციალისტების დატუსაღება.

არხანგელსკში ინგლისელებმა სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს და ყველა სოციალისტები დაატუსაღეს.

ღენერალი ივანოვი

„ვოლფ-ბიურო“ იტყობინება, რომ დასავლეთის ფრონტის ყოფილი მთავარ სარდალი ღენერალი ივანოვი დაინიშნა მოკავშირეთა შეერთებულ ციმბირის არმიათა მთავარ სარდლათ.

რკინის გზის პოლიცია.

სოვნარკომის დეკრეტით დაწესდა სარკინიგზო პოლიტიკური მილიციის განსაკუთრებული კორპუსი, რომელიც თავისი ფუნქციებით უცვლელად უდრის ყოფილ ჟანდარმერიის კორპუს. ამ კორპუსის მოვალეობას შეადგენს პოლიტიკური ჩხრეკა მატარებლებში და თვალყურის დევნა რკინის გზის რაიონებში.

ბონჩ-ბრუევიჩის სიკვდილი

მოსკოვში გარდაცვლილა სახალხო კომისარიატის საქმეთა მართველი, ცნობილი ბონჩ-ბრუევიჩი.

არქიეპისკოპოს ვარნავას დახვრეტა

„კურსკაია პრავდა“ იუწყება, რომ ბოლშევიკებს დაუხვრეტიათ ეპისკოპოსი ვარნავა.

სასადილო ზამთრის სასახლეში.

ბოლშევიკების მთავრობამ გადასწყვიტა ზამთრის სასახლე გამოიყენოს „ც. აღ. კ. იზვესტია“ ცნობით ახლო მომავალში ზამთრის სასახლეში მოაწყობენ ცენტრალურ სამზარეულოს, სადაც მომზადდება 50.000 კერძი წვენი. ამ წვენს დიდი ქვაბებით ზიდვას დაუწყებენ საზოგადო სასადილოებში. ზამთრის სასახლის ერთ-ერთ განყოფილებაში ამ დღეებში იხსნება საზოგადო სასადილო რომელიც დააკმაყოფილებს 2.000 კაცს.

კვირაცხოველის ეკლესია

ანუ რუსულად მონათლული

„კრასნოგორსკაია ცერკოვ“.

როდესაც ჩვენი თავი ჩვენ არ გვეკუთვნოდა, მაშინ ვერაფერს ვიტყოდით, რომ არაფერი გაგვეკეთებინა, მაგრამ დღეს, როდესაც მოგვენიჭა თავისუფლება, ჩვენი ხალხის თავგამეტებული ბრძოლით, გაბედულად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კუს ნაბიჯით მიდის მართვა-გამგეობა ჩვენის ქვეყნისა, როგორც საერთო, ისე სასულიერო სფეროში. რასაკვირველია, ამით ჩვენ გული არ უნდა გავიტეხოთ, ამოდენი ხნის, სხვის ჭკუა-გემოვნებაზე მოწყობილ საქმეებს, გამოსწორება სჭირდება, რაც ასე ერთბაშად არ ძალგვიძს, მერე ჩვენისთანა პატარა ერს.

ამ წერილით საზოგადოებას მინდა გავაცნო, თუ როგორ ილუპება ჩვენი

ლებას, რომელნიც ბოლშევიკურმა მთავრობამ განმეორებით და საზეიმო ფორმებში გამოსახა სრულებით ეთანხმება. უკვე 1917 წ. ივნისში საბჭოთა კონგრესმა რუსეთის ერებს მისცა უფლება თავისუფალ თვითგამორკვევისა. საბჭოთა მეორე კონგრესმა იმავ წლის ოქტომბერში კიდევ უფრო გადაჭრილად და მკაფიოდ დაამტკიცა ეს— „ერთა შეუბღალავი უფლება“ სახალხო კომისართა საბჭომ. ამ დადგენილების განსახორციელებლად 2—15 ნოემბერს 1917 წ. ბრძანება გამოსცა და რუსეთის ერთა საკითხში თავის მოქმედებამ შემდეგი პრინციპი ჩაუდვა საფუძვლად:

2. რუსეთის ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლება სრულ **ჩამოშორებამდე და დამოუკიდებელ სუვერენიან სახელმწიფოს შექმნამდე.** როდესაც ქართველი ხალხი ამ უფლებით სარგებლობს ის აუცილებლად მოქმედებას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ წამოყენებულ ძირითად დებულებათა ჩარჩოებში. ლაპარაკიც კი მეტია იმაზედ, რომ მას ამით რაიმე ზიანი მიეყენებინოს რუსეთის ინტერესებისათვის ან რითიმე შეებღალოს მისი ეროვნული გრძნობები.

III საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება სხვა სახელმწიფოთაგან.

I. სახელმწიფოს წარმოშობის ერთ უმთავრეს პირობათაგან შეადგენს სხვათა შორის მისი სახელმწიფოებრივობის აღიარება სხვა სახელმწიფოთაგან. ეს უკანასკნელნი აღიარებენ, რომ სახელმწიფო არსებობს. სახელმწიფოს აღიარება ნიშნავს სახელმწიფოს მიღებას საერთაშორისო უფლების ძალით სახელმწიფოთა წრეში; იგი გაცხადებაა, რომ ახალს სახელმწიფოს სხვა უკვე სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად, როგორც სახელმწიფოთა წრის თანაბარ უფლებიან წევრს, საერთაშორისო უფლების კანონების მიხედვით, შეუძლიან აცხოვროს და ურთიერთობა იქონიოს მათთან. იგი აღიარებს ცნობილ სახელმწიფოს წინაშე სურვილს, რომ დაიცავს ამ წესებს, როგორც მისთვის სავალდებულოს. როგორც ჩვეულებაა, ცნობას აქვს არა დაფუძნებითი, არამედ მხოლოდ განცხადებითი (დეკლარატიული) ხასიათი, იგი კი არ ჰქმნის ახალ სახელმწიფოს არსებობას, არამედ სახელმწიფოს დაარსება. წინ უსწრებს ცნობას. მაგრამ იგი უფლებისშემქნელია, იმდენად, რამდენადაც იგი ახალს სახელმწიფოებრივ ერთა ოჯახის წევრად იღებს. ეს შეხედულება შეიძლება დახასიათდეს როგორც საყოველთაოდ გაბატონებული დღევანდელ სახელმწიფოს უფლებებისა და უკანასკნელად ეს ფლაიშმანმა გამოთქვა მანუსკრიპტათ დაბეჭდილ თავის ხსოვნის ნაშრომში „ალანდ ფრაგე“.

მე მოვიყვან შემდეგ ადგილებს (გვერდი 26—27): „ფინეთი დამოუკიდებელი შეიქმნა იმ წუთიდან, როდესაც ის რუსეთს ჩამოშორდა და იმდენად გახდა სუვერენული, რამდენადაც მას ძალა შესწევდა დამოუკიდებელ მოქმედებისა თავის საზღვრებში...

სახელმწიფოთა მიერ აღიარებას აქვს მხოლოდ განცხადებითი ხასიათი; იგი არაფერს არ აფუძნებს, მას მხოლოდ შეუძლია აღიარება. ის მხოლოდ იძლევა პოზიტიურ მნიშვნელობის ძვირფას დამამტკიცებელ საბუთს. აღიარების დაკლებას არ ძალუძს რაიმე შეუცვალოს სახელმწიფოებრივობას. ეს არის მეცნიერებაში გაბატონებული აზრი“.

პოლონეთის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მე ამგვარივე აზრი გამოვთქვი „პოლონ. ფურცლებზე“, 1917 წ. გვ. 279.

აღიარება შეიძლება სხვა და სხვა ფორმებში მოხდეს. ფორმალური აღიარება გარკვეული განცხადებით სახელმწიფოთა კავშირის ძველი წევრისა, რომ იგი სცნობს ახლათ წარმოშობილ სახელმწიფოს. მაშინ ეს აღიარება გადაეცემა, როგორც „ნების ყოფის განცხადება, რომელიც საჭიროებს მიღებას“ მცნობ სახელმწიფოს საერთაშორისო უფლების წარმომადგენელ ორგანოების მიერ. ამ ფორმალურ იურიდიულ და დიპლომატიურ ცნობისაგან არჩევენ სახელმწიფოს ცნობას, როგორც de facto არსებულს“.

ეს შეიძლება სხვა და სხვა გვარად მოხდეს: დიპლომატიური ნოტებით, გაგზავნითა და მიღებით მუდმივ ელჩებისა, ხელშეკრულებათა დადებით და სხვ. ყურადღება დედა-ქვეყნისადმი, ან სახელმწიფოთა კავშირისა სხვა სახელმწიფოებისადმი, სურვილი, წინასწარათ ორ სახელმწიფოთა შორის ატეხილი უთანხმოებათა მოწესრიგებისა ყველა ამათ შეუძლია აიძულოს ძველი სახელმწიფო დროებით შეაჩეროს ფორმალური აღიარება. მაგრამ ეს მეორე ფორმაც აღიარებისა მიჩნეულია აღიარებად.

დამატება „de facto“ ეხება არა აღიარებას, არამედ ცნობილ სახელმწიფოს არსებობას, რომლის ნამდვილ არსებობას იგი ადასტურებს, მაშინ როდესაც უფლებრივ მდგომარეობას იგი განუწყვეტლივ სტოვებს. სულ სხვ. გვარია ფაქტიურად დამოკიდებულების დაკავება სახელმწიფოს იმ ნაწილთან, რომლის დამოკიდებულება დედაქვეყანასთან შერყეულა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა დარღვეული. პროვიზორულ მდგომარეობათაც შეუძლია გარდაწყვეტილის ლოდინში ურთი-ერთობის დამყარება. მსოფლიო მოვლენანი იშლება სივრცესა და დროში და არსებული სახელმწიფონი შეიძლება იძულებული გახდნენ თავიანთი და ქვეშევრდომთა ინტერესისათვის ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯით შეეთვისონ იმ მდგომარეობათ, რომელნიც ჰქმნიან ახალ სახელმწიფოს. გერმანიის სახელმწიფოისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის უკვე არსებული დამოკიდებულება ამ კატეგორიას არ ეკუთვნის.

გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა უკვე შეასრულეს საქართველოს აღიარება, როგორც de facto არსებულ სახელმწიფოისა, როგორც ეს სახელმწიფო სეკრეტარმა ფონ-კიულმანმა რაიხსტაგის 21 ივნისის ა. წ. სხდომაზე გარკვევით განაცხადა (179 სხდომა, გვ. 56090). სახელმწიფო სეკრეტარი მიუთითებს აქვე გერმანიის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის გაცვლილ დიპლომატიურ ნოტებზე; მე მივაქცევ ყურადღებას, რომ ეს ცნობა სიჩუმით აღიარებულია. ეს ჩუმი აღიარება გამოიხატა, მაგალითად, გერმანიის სახელმწიფოს მიერ ახალ თვითმდეგ რესპუბლიკისადმი დამოკიდებულებით. ბათომის მოლაპარაკებაში, მოლაპარაკებაში, რომელიც ფოთში მოხდა 28 მაისს 1918 წ. და სადაც „საქართველოს მთავრობაზეა“ ლაპარაკი ისე, რომ იგი არაა დასახელებული, როგორც პროვიზორული; ეს კი არა, „საქართველოს სახელმწიფოს“ მიეკუთვნა მოვალეობანი და უფლებები საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებებით, განსაკუთრებით კი იმ გარემოებით, რომ თფილისში გაიგზავნა ელჩები (ივნისის დამდეგს), რომელნიც ისე, როგორც ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთისა „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ მიღებულ იქმნენ.

13 მარტს 1918 წ. (მაშასადამე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე) ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილ საზავო ხელშეკრულებაშიც რუსეთთან აღნიშნულია სახელმწიფოები, რომელნიც კავკასიაში ახლათ წარმოიშვებიან.

IV მუხლი, მესამე ნაწყვეტი ამბობს: „არდაგანისა, ყარსისა და ბათომის ოლქები უნდა ავრეთვე დასცალონ დაუყოვნებლივ რუსის ჯარებმა. რუსეთი არ გაერევა ამ ოლქების სახელმწიფო-უფლებრივისა და საერთაშორისო უფლებრივ ახალ წყობილებაში, არამედ მიანდობს მცხოვრებთ ამა ოლქებისას ახალი წყობილება მეზობელ სახელმწიფოთა, სახელდობრ, ოსმალეთთან შეთანხმებით გაატარონ“.

რაიხსტაგისადმი გადაცემული რაიხსკანცლერის წერილობაში (გვ. 92) ნაჩვენებია, რომ უმთავრესი „მეზობელი სახელმწიფო“ არის ოსმალეთი. რუსეთი არ იხსენიება, როგორც სხვა „მეზობელი სახელმწიფონი“, რომელიც ოსმალეთთან ერთად ახალ წყობილებაში დაინტერესებული იქნებიან, მხედველობაში მიიღებიან მხოლოდ კავკასიის სახელმწიფონი. გარკვევით იხსენიებიან ეს უკანასკნელნი წერილობაში მეორე ნაწყვეტის მეოთხე მუხლში: რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს, რომ უზრუნველჰყოს აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციების დაცლა და მათი ოსმალეთისადმი წესისამებრ უკან დაბრუნება“. იგივე წერილობა ამბობს გვ. 93: „რადგან აქ რუსეთის მთავრობას აღარ ძალუძს განუსაზღვრელი სამხედრო ბატონობა, ამიტომ იგი შეგვპირდა, რომ იხმარს ყოველ ღონეს, რომ უზრუნველჰყოს იმ პროვინციების დაცლა და ოსმალეთისადმი წესისამებრ უკან დაბრუნება. **საჭირო შემთხვევაში ეს შეპირება უნდა განხორციელდეს კავკასიის არემარეზე წარმოშობილ სახელმწიფოებთან დიპლომატიურ შეთანხმებით**“. რუსეთი ვალდებულია, მაშასადამე, ამ სახელმწიფოებთან, რომელთაც პირველ რიგში საქართველო ეკუთვნის დიპლომატიური ნაბიჯები გადადგას, თავისი შეპირება რომ აასრულოს. ამ კილოს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ცნობილ იქმნება რომ კავკასიის მხარეები არაა იმყოფება რუსეთის სახელმწიფოს ძალის ქვეშ, არამედ აღიარებულ იქნება როგორც სუვერენული სახელმწიფონი, რადგან თავის საკუთარ ტერიტორიის ნაწილში სახელმწიფო მოქმედობს არა დიპლომატიურის ნაბიჯებით, არამედ სხვა გზით. ამისთვის მეოთხე მუხლის მიღებით რუსეთმა იცნო, რომ საქართველომ და კავკასიის სხვა ერებმა მოიშორეს რუსეთის ბატონობა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადიქცენ.

თუ გერმანიის სახელმწიფომ დღემდე ფორმალურად არ აღიარა საქართველო, ამის მიზეზი მხოლოდ რუსეთისადმი ყურადღებაა. ფონ კიულმანმა ეს გარკვევით აღიარა იმავ სიტყვაში ესტლანდიის და ლიფლანდიის შესახებ (გვ. 5608): სახელმწიფოს მთავრობას იმ თავიდანვე ის პოზიცია ჰქონდა, რომ დიპლომატიურათ საბოლოოდ ცნობამდე იმ სახელმწიფოებრივ სხეულთა, რომელნიც ჩამოსცილდენ ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს, მოხდეს დაწვრილებით აზრთა გაცვლა-გამოცვლა რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან მოსკოვში იმის შესახებ: შესაძლებელია თუ არა, და რა მოდალიტეტებით ცნობა სახელმწიფოებრივ ახალ სხეულებისა. და შესახებ საქართველოსი ის ქვეით ხაზს უსვამს: „მისი დიპლომატიურისა, იურიდიული ცნობისათვის ძალაშია იგივე ძირითადი წესები, რომელთა მოკლე მიმოხილვის ნება მივეცი ჩემ თავს წელან“. (გვ. 5601).

ამისათვის შეუძლებელია იჭვიანობა, რომ გერმანია მზათაა ფორმალურათ იცნოს საქართველო. ხომ მისცა გერმანულმა მისიამ შეპირება აღიარებისა მაისში ამა წელს ბათომში მოლაპარაკებისას. დაბეჯითებით მოსალოდნელია რუსეთის თანხმობა; მისი უარი წინააღმდეგობაში იქნება საბჭოთა მთავრობის მიერ ზეიმით გამოთქმულ ძირითად დებულებებთან.

⁂

ამისთვის მე შემდეგ დასკვნამდე მივდივარ:

1. საქართველო დღეს უკვე თვითმდგი და სავსებით დამოუკიდებელი, ამით სუვერენული სახელმწიფოა და როგორც აგეთს აქვს საერთაშორისო უფლება (völkerrechtlichln Anspruch), მოითხოვს რომ აღიარებულ იქმნას სხვა სახელმწიფოთა მიერ.

2. საქართველოს რესპუბლიკა უკვე გარკვევით ცნობილია გერმანიის სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეთა მიერ, როგორც de facto არსებული წევრი სახელმწიფოთა ოჯახისა კონკლუდენტურ (konklubente) მოქმედებით.

3. ფორმალურ ცნობას არ ეწინააღმდეგება უფლებრივი მოსაზრებანი. ეს არ იქნებოდა „არა მეგობრული აქტი“ რუსეთისადმი, რომელმაც გარკვევითა და ზეიმით განაცხადა ერთა თავისუფალი თვით გამორკვევის უფლება „თვით ჩამოშორებამდე და თვითმდეგ სახელმწიფოს დაარსებამდე“.

პროფ. დოქტ. ფრანც ფონ-ლისცტ.

8 აგვისტო 1918 წ.

ავლა-დიდება ჩვენივე მოძღვრების დაუდევრობით.

ძველის-ძველი კვირაცხოვლის ეკლესია ყველას ენახვება; მშვენიერი მდებარეობით იგი დიდს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ეს შესანიშნავი ეკლესია დღეს მიტოვებულია ღვთის ანაბარა. გალავანი მას არა აქვს შემორტყმული და მთელი ახლომახლო მეზობლები მის გარშემოს უსუფთაობით ავსებენ. ეკლესიის გარშემო სულ ცოტა ნახევარი დღიური მიწაა ცარიელი, რომელიც კარგს შემოსავალს მოიტანს. მაგრამ ამაზე არავინ ცდილობს... მისავალი გზები უსუფთაობით არის სავსე, აქ ნახავთ ყველა სიბინძურეს. მშვენიერი სამი ოთახი მოძღვრისა, რომელიც არ ვიცი, რა მოსაზრებით, დაუტოვებია მღვდელს ვლადიმერ გურგენიძეს, სავსეა სიბინძურით და ყურისმგდებელი კი არავინ არის.

კვირაცხოვლის ეკლესია, აშენებული არის წმიდა მოციქულის თომას სახელობაზე, დღეობაც თომას კვირას იცის, ხოლო მოძღვარს, მღვდელს გურგენიძეს, ჰსურს რუსული დღეობა დაუწესოს. ამას წინად, 3 ენკენისთვეს, მან შემდეგი განაცხადა ეკლესიაში: „ხვალ წირვა იქმნება შესრულებული წმ. იოასაფის სადიდებლად, რადგანაც მისი სახელობის დღეა და ეს ეკლესიაც მის სახელობაზედ არის აშენებული“.

საიდან შეთხზა ასეთი ახალი ეკლესია საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში მოძღვარმა. საკვირველიც არ არის თვითონ რუსოფილია „რუსკოპოდანნია“, აღარ ჰსურს, რომ ქართული დღეობა დარჩეს.

საზოგადოდ, ჩვენი მთავრობისა და საკათალიკოსო საბჭოს მხრივ ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება მიექციათ კვირაცხოვლის ეკლესიისათვის და მისი მოძღვრის—გურგენიძის „მოღვაწეობისათვის“. არ იქნებოდა ზედ-მეტი აგრეთვე რომელიმე პასუხისმგებელ პირს მოესმინა ხსენებული მღვდლის ქადაგებანი, რუსის ხალხისადმი მიმართული და მაშინ შევიტყობდით, თუ როგორ გვიტყდება ჩვენი ციხე—დამოუკიდებელი საქართველო—ზოგიერთ ქართველების მეოხებით და მუყაითი მოქმედებით.

გულშემატკივარი.

კორესპონდენცია

წერილი გორიდან

ქ. გორში ამ ერთი კვირის წინად გაიმართა ზედი-ზედ ორი წარმოდგენა: პირველად წარმოადგინეს შალვა დადიანის „შენი ჭირიმე“ პიესა სამი მოქმედებით, მეორედ—„პარიზელი ბიჭი“, პიესა ორ მოქმედებიანი ფრანგულიდან ნათარგმნი. ორივე პიესა საქველმოქმედო მიზნით იყო წარმოდგენილი: პირველი სოფელ კარალეთის ხელ-საქმის სკოლის სასარგებლოდ, მეორე—გორის ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციის სასარგებლოდ. პირველში მონაწილეობას ღებულობდნენ მთლად ადგილობრივი ძალები, მეორეშიც—გარდა ტასო აბაშიძისა, რომელიც ასრულებდა „პარიზელ ბიჭის“—ჟოსეფის როლს, სულ ყველანი ადგილობრივი პირნი იყვნენ. ორივე წარმოდგენას წინ უსწრობდა და მოჰყვა მუსიკა, ცეკვა და სხვა გასართობები.

მე არ შევეხები მონაწილეთა ნაკლულევანობა-ღირსების აღნიშვნას, ვიტყვი მხოლოდ საერთოდ, რომ პირველმა პიესამ საშუალოდ ჩაიარა, მონაწილეთ როლები კარგათ ესწავლათ, ზოგიერთს გმირის სულის-კვეთება განეცადათ, მეცადინეობა არ მოეკლოთ. სცენა შესაფერისად მოერთოთ და ჩაცმულობა-გრიმსაც არ უშავდა რა. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა. მეორე პიესაში მონაწილენი ცოტა მოისუსტებდნენ, ეს უფრო იმ გარემოების გამო, რომ ერთი მონაწილეთაგანი არ გამოცხადდა და ელიზას როლი შეასრულა სრულებით მოუმზადებელმა პირმა, მაგრამ ტასო აბაშიძის თამაშმა ყველასი ნაკლულევანობა გამოისყიდა და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ამ პიესითაც.

ამ ორი წარმოდგენის ნახვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ადვილი შესაძლებელია (და საკმაო ძალაც მოიძებნება) გორში მუდმივი დასის მოწყობა სცენის მოყვარეებისაგან, რომ ეს ქალაქი ასე დაწყევლილი და თვალ-ნაცემი არ იყვეს. ერთხელ, როდესღაც და ვიღასგანაც იყო ცდა ასეთი დასის, თუ ჯგუფის შესადგენათ, მაგრამ როგორც სჩვევია ქართველი კაცის ბუნებას, ეს კეთილი საქმე მივიწყებულ იქმნა, გული გაუცივდა მისდამი. ეხლა კი საჭიროა ეს ვინმემ ითავოს და იმისთანა პირები, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმის გაძღოლა უეჭველად მოიპოვებიან გორში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებაც ხელს შეუწყობს ამ სასარგებლო საქმეს და მის მტვირთველებს გაუადვილებს ტვირთის და შრომის სიმძიმეს. უფრო იმისათვის არის მუდმივი სცენის მოყვარეთა ჯგუფის მოწყობა და რეგულიარულად (მაგალითად კვირაში ერთხელ) წარმოდგენების მართვა, (ვინც ამ ორ წარმოდგენას დაესწრო ის უეჭველად შეამჩნევდა), რომ აუდიტორია თითქმის საზოგადოების იმ ნაწილისაგან შესდგება, რომელსაც უწოდებენ დაბალ ხალხს. ჰო და ეს დაბალი ხალხი გულმოდგინეთ და ხალისით ეტანება თეატრს, ეხლა საჭიროა, რომ მას მიაწვდინოთ გონებრივი საზრდო და ეს, გვგონია, უფრო იმათი მოვალეობაა, რომელთაც დაბალი ხალხის დაცვა და მისი სახელით ყვირილი დარბაზებში თუ ქუჩებში მონაპოლიათ აქვთ გახდილი. მგონი საჭიროა ათასჯერ-ნათქვამის-ერთხელ მაინც ასრულება.

ამ საქმის მეთაურობა თუ არა, დიდი დახმარების აღმოჩენა მაინც შეუძლიან გორის საზოგადო საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს, ეს მგონი მათი მოვალეობაც არის. ნუ თუ ამ საკრებულოს დანიშნულება თავის სიგრძესიგანით იმითი ამოიწურება, რომ მხოლოდ ქაღალდის, ნარდის, ბილიარდის და ლოტოს თამაშს შეუწყონ ხელი? დროა სულისთვისაც იზრუნონ, ხალხს მიაწოდონ კეთილი საზრდო, სიტყვა ჭეშმარიტი და ხალხის გულიც ხომ ვიცით ნოყიერი ნიადაგია.

თორემ რასა ჰგავს ამ საკრებულოს მოღვაწეობა გორის ცხოვრებაში და ან მისი საზაფხულო დარბაზის სცენა? ფარდა იმას არ აქვს რიგიანი, კედლები მას არ უვარგა, კარები და ფანჯრები თავის რიგზედ არ არიან და ვერც სახურავი ასრულებს თავის დანიშნულებას სვინდისიერათ. დეკორაციები ხომ ანგარიშში არ არიან ჩასაგდებნი. არ არის აგრეთვე სცენისათვის სხვა ხელსაწყო საგნები.

ეს საკრებულო თავის მოვალეობად უნდა სთვლიდეს, რომ იმ პირთ, რომელთაც სურთ ხავს-მოკიდებული გორის ცხოვრება ცოტათი შეაშფოთონ, ჭორების მაგივრად სხვა საზრდო მიაწოდონ ხალხს, საზრდო გონიერი, დარბაზს წარმოდგენებისათვის უთმობდეს თუ მუქთად არა, ძალიან იაფად მაინც. და ის ფული რასაც აიღებს ამისთანა შემოსავლიდან უნდა ხმარდებოდეს სცენის მოწყობას, მოწესრიგებას.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ თუ გორში მოეწყობა მუდმივი ჯგუფი სცენის მოყვარეთაგან, იგი ეწვევა ხოლმე ახლო მახლო სოფლებსაც, როგორიც არიან მაგალითად, მეჯვრისხევი, ქარელი და სხვა.

ხოხო.

სოფ. გიორგიწმინდა

(გარე კახეთი)

ეს სოფელი მდებარეობს თბილისიდან 51 ვერსის მანძილზე. გიორგიწმინდის საზოგადოებას ეკუთვნიან სოფ. ანთოკი და მარიამჯვარი, რომლებიცა შორავენ 2 ვერსით. საზოგადოებაში სულ 420 კომლია. კულტურული დაწესებულებიდგან აქ ორი თითო კლასიანი პირველ დაწყებითი სკოლაა სამი მასწავლებლით, მეორე წელს გაიხსნა. სოფ. ანთოკი და მარიამჯვარი კი მოკლებული არიან ისეთ კულტურულ საშუალებას, როგორიც არის სკოლა, ამისათვის ისინი განათლებით გაცილებით დაბლა სდგანან გიორგიწმინდაზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ არც გიორგიწმინდა არის კულტურული მხრივ აყვავებული, როგორც ეს მოსალოდნელია. არ არის ბიბლიოთეკა, არც გაზეთები მოიპოვება გარდა ერთისა, რომელიც კოოპერატივს აქვს გამოწერილი. კოოპერატიული დუქანი არსებობს ამა წლის თებერვლის რიცხვებიდან იერ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით და კოლა ძარინდაშვილის, ლევან და სახოს გულისაშვილების დახმარებით და მუყაითობით მათივე ენერგიას და ინიციატივას უნდა მიეწეროს ურთიერთ დამხმარე საკრედიტო ბანკის დაარსებაც. საერთოდ ეხლანდელი კულტურული ვითარება სოფლებისა დიდ ყურადღებას თხოულობს მთავრობისას. დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში ხალხი მომხრეა კერძო საკუთრებისა. ღვინის მოსავალი ნაკლები იყო, პურისა და სიმინდისა კი კარგი. მიუხედავად ამისა კოდი პური (3 ფ. 10 გირ.) ფასობს 500 მ. ამ ფასებამდინ პურმა მიახწია სპეკულიანტების მახინაციებით, რომელთა ასალაგმავათ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ზომები უნდა მიიღოს.

ლ. ხვიმონიშვილი.

თეატრი და მუსიკა

„ლადია არგონავტოვ“.—დღეს პირველი დღეა მე-XI ციკლის ახალი პროგრამის: დადგმენ: „გაშიში“ დრამატ. ეტიუდი; „ძველი ვალსი“ „ჟიასი“ მუსიკა სენ-სანკის—შეასრულებს ლასკარი, სცენები „ვინდზორის ნათლის დედები“ შეასრულებს ბ. ა. ბალაბანი და ა. აფანასიევი. „ლადია არგონავტოვ“ ის პატე-ჟურნალი.

სახელმწიფო თეატრი. ხვალ მიდის „ჟიდოვკა“ კვირას დილით „ფაუსტი“ საღამოთი „რიგოლეტო“.

დრამა „ტარტო“. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება დოსტოევის „იდიოტი“.

ფიშბერგის კონცერტი. დღეს კონსერვატორიის დარბაზში შესდგა კონცერტი სკრიპკის დამკვრელი ი. ფიშბერგის—პროგრამაში შედის პაგანინი, კრეისლერი, ბახი, მოცარტი და სხვ.

წერილი რედ. მიმართ

ღია წერილი სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეს

როდესაც სასურსათო მინისტრმა თავის რწმუნებულად დამნიშნა ფურაჟისა და ხორცის საქმის მოსაწყობად, მეტად ცუდ მდგომარეობაში დამხვდა ერთიც და მეორეც. პირველ დღიდანვე აშკარა გახდა ჩემთვის, რომ ვიღაც ბოროტი ხელი, მტერი საქართველოს რესპუბლიკისა, ალბად უხვად სარგებლობდა ჩვენი მთავრობის ნდობით და დემოკრატიის ყალბი პასპორტით, რომ ფარული ზრახვანი, ჩვენი რესპუბლიკის დანგრევა, უზარბაზნოდ მოეხდინა, თუ კი არსებობის ისეთ საფუძველს გამოუნგრევდა, როგორიც არის სასურსათო საქმე. სხვაფრივ შეუძლებელია აიხსნას ისეთი სურათი, რომელიც გადმეშალა თანამდებობის აღსრულების შედგომისთანავე: 1) საქონლის დამზადების ოპერაციები შეწყვეტილი იყო; 2) დასამარილებელი პუნქტები სისტემატიურად გაექურდათ, ყველას ყველაფერი მიჰქონდა თორემ არავინ სასარგებლოს არ აკეთებდა; 3) ძეხვების ქარხანა დანგრეული დამხვდა, ნაგვით სავსე, ქვაბები და მანქანები დაჟანგებული-გაოხრებული, კედლები და სახურავები ჩაქცეული, შიგ შენობაში და ეზოში წუმპე-ტალახი, აუწერელი სიბინძურე. თუ რამ კარგი და გამოსადეგი ჰქონდა ქარხანას, სულ ერთიანად დაეყიდნათ, ხოლო რაც გადარჩენოდათ, იმის გაზიდვას აპირებდა შიგ მდგარი სასურსათო რაზმი და სხვა მრავალი რამ, რაიც ჩვენს მინიატურულს ილუსტრაციას ფრიად ვრცელს სახეს მიაღებინებდა.

რომ ნათქვამში ეჭვი არავინ შეიტანოს, შემიძლიან ის კომისია დავიმოწმო, რომელიც სახელმწიფო კონტროლთან ერთად მოვიწვიე და ავაწერინე ყოველისფერი. უნებურად იბადება საკითხი, ვინ იყო აქ საქმის ამშლელდამშლელი? ხომ ყველა ამას ხელმძღვანელობდენ დემოკრატიისათვის თავდადებული ხალხი და არა ძველი მთავრობის ყვავ-ყორნები. მაგრამ სადაა რესპუბლიკის სამსახური? ხუთუ ასეთი ნგრევა სიყვარულს ნიშნავს? მაშ რაშია საქმე: ღალატია თუ სამსახური? ერთგულება თუ ორგულობა?

მაშინვე ენერგიულად შეუდექით წამხდარი საქმის გამოსწორებას: დაუყოვნებლივ მოვიწვიე საქმის დახელოვნებული ოსტატები, დღე და ღამ ვამუშავე სპეციალისტთა მთელი რიგი და, როგორც იყო, ფეხზე დავაყენე იგი. ქარხანა დღესაც მზადაა ასამუშავებლად. მის ამუშავებას მოჰყვებოდა ის ნაყოფიერი შედეგი, რომ ძეხვეულისა და შაშხეულის პროდუქტები ხელად გაიაფდებოდა და თვით სახელმწიფოც წლიურად ერთ მილიონ მანეთს მაინც ისარგებლებდა. ეს გამოიწვევდა თვით ხორცეულის ფასის დაცემას, ასე რომ შესაძლო იყო გირვანქა ხორცი 1 მანეთად მიგვეწოდებინა დამშეულ ხალხისთვის. მე მზად ვიყავი და საჯაროდაც ვაღვიარე, რომ სრულს პასუხისგებას ვკისრულობ თუ სამი თვის განმავლობაში პურიც და ხორციც გასაოცრად არ გავაიაფო, თუ ხელის შემშლელი არავინ მეყოლება მეთქი. მაგრამ აი, სწორედ გახურებულ მუშაობის დროს გამოდის განკარგულება ცენტრალურ საბჭოსი, რომ ლიკვიდაცია მოხდეს ხორცისა და ფურაჟის დამზადებისა. რათა? რისთვის? ნუ თუ განკარგულების გამომცემამდე საჭირო არაა საქმის მიმდინარეობის გაცნობა და ყოველისფერის გათვალისწინება? მაგრამ ამისთვის ხომ დროა საჭირო და ხსენებულს საბჭოს კი ყოველისფერი აქვს, გარდა დროისა. განკარგულების გამომცემი მთავარი ინიციატორი გაცილებით შორს მჭვრეტელი უნდა იყოს. ალბად იმდენს ნდობას ჰპოულობს ყველას გულში, რომ ასე უკრიტიკოდ უჯერებენ და ანხორციელებენ ჩვენი რესპუბლიკის დამანგრეველ ფარულ ზრახვას.

წინდაწინვე დარწმუნებული ვარ, თავის გასამართლებლად შემდეგს განმარტებას მიჰმართავენ განკარგულების გამომცემნი: რადგან რუსის ჯარები წავიდნენ, ხორცისა და ფურაჟის დამზადება საჭირო არ არის: ხორცს ქალაქის გამგეობა ამზადებს, ხოლო ფურაჟს — საინტენდანტო ნაწილით. ეს უფრო ნამდვილი დემოკრატიული პრინციპების გამარჯვება იქნებაო. შეიძლება კიდევ კოოპერატივებიც კი დაასახელონ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა უნარი შესწევს ქალაქის გამგეობას, რომელმაც სამინისტროში რეორგანიზაციის მოხდენისათანავე ხორცის ფასი 2,20 კაპ. 2,50 კ. აახტუნა, ხოლო ცხვრისა 2,50 კ. 3,50 კაპეიკამდე. წარმოგიდგენიათ, რა იქნება თებერვალში და მარტში? ასეთს სასურსათო პოლიტიკას არა თუ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ბონები, არამედ გერმანიის მანქანებითაც დაბეჭდილი ვერას ეყოფა. მშიერი ხალხი შველას ითხოვს, ფასების დაწევას და არა გაძვირებას. საეჭვო პიროვნებანი, რომელნიც საფრად იხდიან დემოკრატიულს პრინციპებს, გარდამავალ ხანის გაგრძელებაში არიან, რომ ნგრევის პროცესი კატასტროფით დაათავონ. ნუ თუ ამაში აღარ უნდა დავრწმუნდეთ? ნუ თუ კიდევ ზედმეტი მსხვერპლია საჭირო თვალის ასახსნელად?..

ასევე ითქმის ფურაჟის შესახებ. ფურაჟის საქმე სრულიად გამოუსწორებელი დამხვდა. რამდენი ენერგია დავხარჯე, რომ კახეთში მაინც მომეგვარებინა რამე, ვინაიდან სხვა მაზრებში ეხლაც და მაშინ ხომ უფრო ყოვლად შეუძლებელი იყო რისამე გაკეთება. ჩემმა ცდამ და პროპაგანდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. უკვე საკმაოდ დამზადებული მაქვს თივა და ბზე, რაიც თფილისში ჩამოტანით თივა დაჯდება ფუთი 5,50 კაპ., ხოლო ბზე —4,50 კაპ. სოფლებმა უკვე შეიგნეს მოვალეობა რესპუბლიკისადმი. ყველანი ცდილობენ მოგვიგროვონ ძველი, დაკარგული იარაღები, მოაქვთ მანქანები, პრესი, საბარგო ურმები, ხარ-კამეჩი, გვაშველებდენ მუშა ხელს, ასე რომ დღეს დღეობით ნახევარზე მეტი უკვე შეგროვილია. ამ ფურაჟის დანიშნულება იყო ერთი ნახევარი ჯარის საჭიროებისათვის მიგვეშველებინა, ხოლო მეორე—საკლავ საქონლისთვის გადაგვედო. მაგრამ თანახმად საბჭოს ახალი განკარგულებისა ეს ნაშრომნაღვაწიც ინგრევა: უნდა ლიკვიდაცია მოხდეს ფურაჟის დამზადებისა, მაშასადამე, საკლავი საქონელი უნდა უსაკვებოთ დავხოცოთ, ე. ი. თვით ხალხს მივაწოდოთ არა თუ გაიაფებული ხორცი, არამედ ან მთლად მოვუსპოთ, ან და მამასისხლად მივყიდოთ. უნდა ყოველისფერი შეჩერდეს. ვერ იმუშავებს ძეხვების ქარხანაც. მაშასადამე, ზარალობს ხალხი, ზარალობს რესპუბლიკის ხაზინაც, როგორც ფულით, ისე ხალხით, რომელსაც შიმშილით გაწყვეტა მოელის. და თუ ეს ასე მოხდა, ნუ თუ ეს იქნება დემოკრატიის დახმარება? ესაა რესპუბლიკის სამსახური?

როდესაც ყველა ამას ხედავს ადამიანი, უნებურად ეჭვი ებადება, ვინაა, რომ ასე დაუღალავად მუშაობს ჩვენი ქვეყნის დასაღუპავად? თუ ძველსა და ახალს სასურსათო ორგანიზაციას თვალს გადავავლებთ, თვალში მოგვხვდება შავი ტუზი, ერთი და იგივე პიროვნება, ბ-ნი დიატკინი! არა ვშიშობ, საქვეყნოდ ბრალი დავდო მას და განვაცხადო, რომ **წინადაც და ეხლაც მაგას უდევს ბრალი ჩვენი ქვეყნის სასურსათო საქმის დანგრევაში.** მე, როგორც რესპუბლიკის ერთგული დარაჯი და იმავე დროს როგორც სამინისტროს ყოფილი რწმუნებული, თავს მოვალედ ვრაცხ ჩემი ღრმესი გულისწყრომა საქვეყნოდ განვაცხადო და ვსთქვა: საბჭოს განკარგულება, უკედ, ბ-ნ დიატკინის ახალი ბრძანება, ვითომც დემოკრატიულს ნიადაგზე გამოცემული, გულში მახვილს სცემს ჩვენს რესპუბლიკას, ფარული მისი ზრახვანი დემოკრატიულ მანტიაში მიტომ იმოსვის, რომ ჰუტკიან ხელთათმანში ჩამალული ჯოხეთის მანქანით ჩვენი რესპუბლიკა ააფეთქოს.

სამსონ ასათიანი.

ღია წერილი

მოქალაქე შალვა ამირეჯიბს!

ამ ბოლო დროს პირადი საქმეების გამო კახეთში ვიყავი და მხოლოდ 4-5 დღის წინათ თბილისში დაბრუნების შემდეგ მომეცა საშვალება გავცნობოდი თქვენს წერილს გაზეთ „საქართველოს“ № 187 მოთავსებულს. სათაურით „ჭეიშვილი თუ რესპუბლიკა“.

კილო თქვენი წერილისა მეტად შეუფერებელია, ფაქტები ჩემსა და ჩემი სამსახურის შესახებ დამახინჯებულია, და საერთოდ ჩემს პიროვნებას უმართებულოდ ჩირქსა სცხებთ, ამიტომ და რადგან პრესის საშვალებით პოლემიკა კერძო ხასიათის საქმეზე მკითხველ საზოგადოებისათვის არაფერი საინტერესოა, მე იძულებული შევიქენი მიმემართა კანონიერ სასამართლოსათვის რომელსაც, იმედია, თავის დროზედ დაუმტკიცებთ ყოველივე იმას, რაც ჩემს შესახებ ათავსებთ გაზეთის ფურცელზე.

ისააკ ჭეიშვილი.

18 ღვინობისთვე. 1918 წ.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—

თბილისში მოვა

ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

იყიდება ახალი ქვის შენობა 12 მინით. წლიური შემოსავალი აქვს 8,000 მან. აქვე იყიდება სახლის ყოველნაირი ავეჯი: კაკლის შკაფი სარკით, პრუჟინიანი კრავოტები, მარმარილოს პირის საბანი, საწერი მაგიდები და სხვ. აქვე იძლევა ქირით 3 ოთახი თავის კუხნით. ნორიის აღმართი, 9. კუკიის სასაფლაოსკენ. (1—1821—1)

საქართველოს მეურნეთა
და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის დაღმართი № 5. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა. (3—1809—3)

ქართულის კარგი მცოდნე
კისრულობს: მოხსენებათა, პროექტბბის, წერილების წესდებათა და სხვა ქაღალდების თარგმნას.
მიჰმართეთ „საქართველოს“ რედაქციაში მდივანს, დილის, 9 სათიდან 3 საათამდე. საღამოობით წყნეთის ქუჩა № 30. (1—1022—1

ინტელიგენტ ქალთა წრე
იღებს შესაკერავებს როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჟკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბანა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით.
10—9

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე
საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
სააავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ,
ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
საავადმყოფო
უკბილებმთა ავადმყოფთათვის ექიმ ბ ზ. ძინარიშვილის და ლ. ზ ნაზარბეკიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**
მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 1.